საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინეზა დავითაძე

ეროვნული გმირის სახე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გურამ ბახტაძე - ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილული თემა აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ გლობალიზაციამ, რომელიც თავისი კანონზომიერებებით აწესებს სრულფასოვანი მოქალაქის სტანდარტებს, გარკვეულწილად გადააფასა ეროვნულობა და ეროვნულობის პრობლემები. ჩვენ არაფერი გვაქვს საწინაღმდეგო გლობალიზაციასთან, უფრო სწორად ვერც შევეწინააღმდეგებით, თუმცა ჩვენი აზრით მთავარია შევძლოთ ეროვნული იდენტობის შენარჩუნება და არ დავკარგოთ ეროვნული სახე, რომლის შექმნასაც ათასწლეულები შეალია ქართველმა ხალხმა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული, მნიშვნელობა შეიძინა სადღეისოდ ეროვნული იდეებით გამსჭვალული პატრიოტის მხატვრულმა სახემ. შესაბამისად, ამოსავალ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ისტორია და მწერლობა, სწორედ ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებაში არის დაგროვილი უამრავი მასალა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ დღესაც, რათა საბედისწერო შედეგები არ განმეორდეს.

ზოგადად ლიდერი, წინამძღოლი, გმირი, ყოველთვის ასრულებს მნიშვნელოვან როლს საზოგადოების, ხალხის მართვის თვალსაზრისით. წინამძღოლის თემა მუდამ იყო საინტერესო მწერლობისთვის, მოყოლებული ბიბლიიდან…

აქედან გამომდინარე, ისტორიული, შედარებითი, ასევე ტექსტზე მუშაობის, ანალიზის, სინთეზის და სხვა მეთოდებზე დაყრდნობით, ნაშრომში გაანალიზებულია ალექსანდრე ყაზბეგის, შემოქმედება და კერძოდ: „ეროვნული გმირის სახე“ მწერლის შემოქმედებაში.

Annotation

The topic discussed in the work is relevant because globalization, which establishes standarts of full-fledged citizens by its regularities, rendered nationality and nationality problems somewhat. We do not have anything to do with the globalization, or we can not even resist, but in our opinion it is important to maintain the national identity and lose the national face that millions have created by the Georgian people. From this point of view, the patriotic artistic sculpture enriched by the national ideas of today has taken a special significance. Therefore, we should consider our history and writing as our own classics, and we have a lot of accumulated material that we have to follow today to avoid fatal consequences.

Leader, Leader, Leader, always plays an important role in the management of the public and the people. The topic of the leader was always interesting for writing, from the Bible...

Based on the work, analysis, synthesis and other methods, we will study the works of Aleksandre Kazbegi, in particular: “The face of the national hero” in the writer's work.

შინაარსი

შესავალი ----------
---------- 5

I. ალექსანდრე ყაზბეგის - ლიტერატურული პორტრეტისათვის ----------8

II. საერო და სასულიერო ლიდერის მხატვრული სახე „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით ----------17

III. „ეროვნული გმირის მხატვრული სახე „ელგუჯას“ მიხედვი ----------33

IV. ეროვნული გმირის მხატვრული სახე „მამის მკვლელის“ მიხედვით ---51

დასკვნა ----------
--------61

გამოყენებული ლიტერატურა----------63

შესავალი

ქართულ მწერლობაში და არამარტო, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა და ეთმობა, ეროვნული გმირის მხატვრული სახის იდეალიზაციას. ცნობილია, რომ საგმირო და სარაინდო მწერლობაში წარმოდგენილნი არიან პერსონაჟები, როლებიც განსაკუთრებული ფიზიკური ძალით და პიროვნული მაღალზნეობრივი თვისებებით არიან დაჯილდოვებულნი, მაგალითად: ქართული საგმირო ეპოსის უნიკალური ნიმუში, მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“ გვაწვდის არაერთი ფალავნისა და დევგმირის სახეს თუმცა ისინი საზოგადოებისათვის რაიმე კეთილის მომტანნი მაინცადამაინც ვერ არიან. „ვეფხისტყაოსნის“ ღირსება სწორედ იმაშია, რომ პოემის პერსონაჟები-რაინდები, გამორჩეულ თვისებებთან ერთად თავიანთი სამშობლოს დიდ სიყვარულს და მისთვის თავდადებას ამჟღავნებენ, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი და სხვები.. უპირველესად თავიანთი სამშობლოს პატრიოტები არიან. რუსთაველმა ტარიელს ათქმევინა: **„სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ რადმცა ვინატრიდე“..**საიდანაც კარგად ჩანს თუ რა როლი აკისრია ეროვნულ გმირს. ამრიგად რუსთაველმა დაუდო სათავე ეროვნული გმირის თემას ქართულ საერო მწერლობაში;

რაც შეეხება სასულიერო მწერლობას, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიაში, ეროვნული გმირი, იგივე წმინდანია, რომელსაც ეძღვნება კონკრეტული თხზულება. მაგალითად: შუშანიკი, გრიგოლ ხანძთელი და სხვები...

ისტორიულად საქართველოში მართლმადიდებლობა მჭიდროდ იყო ეროვნულობასთან ასოცირებული და ქრისტიანობა ქართველობას გულისხმობდა. ამდენად, თავგანწირვა მართლმადიდებლობისათვის, უდრიდა ქვეყნისათვის თავგანწირვას. ეროვნული გმირის იდეალი უპირველესად სასულიერო მწერლობამ შემოგვთავაზა.

ეროვნული გმირის როლი და მნიშვნელობა XIXსაუკუნის ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებულად იქნა გააზრებული. გრიგოლ ორბელიანიდან დაწყებული არ დარჩენილა არცერთი კლასიკოსი, რომელიც ამ თემას არ შეხებოდა, ყველა მათგანმა მკაფიოდ შეაფასა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვაში გმირს და წინამძღოლს.

ეროვნული გმირის თემას ასევე, წამყვანი ადგილი უკავია ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში, საბჭოთა პერიოდის სალიტერატურო კრიტიკა, გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდა ამა თუ იმ მკვლევარის აზროვნებას, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ვერ მოხერხდა, ჩვენი კლასიკოსების შემოქმედების მართებული ანალიზი, ამ მხრივ, გამონაკლისი არც ალექსანდრე ყაზბეგია, სადღეისოდ კვლავ აქტუალური რჩება ზოგადად ეროვნული გმირის იდეალი და სტანდარტები.

მხატვრულ ნაწარმოებებში არიან პერსონაჟები, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ქმნიან და არიან გმირები, რომლებიც უმთავრესად ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, რა თქმა უნდა, ასეთი გმირები ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების შექმნაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ, მაგრამ არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან, რომ მათი ქმედების მოტივაცია უპირველესად სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარეობს. დიდი ვაჟა სტატიაში „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ წერდა: „რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას თუ მთელის ერის

განვითარებისთვის საჭიროა კერძოდ ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა, თუ კერძო ადამიანისთვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისთვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...“(ვაჟა-ფშაველა.1986წ.679-680გვ).

ილია ჭავჭავაძე კი ამბობდა: ”დიდ - ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერს, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარი ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა და პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ-წინ იყოლიოს მის მიბაძვას ეცადოს.” (ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, http://www.ambioni.ge.)

ხოლო სტატიაში - „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე გმირობას გენიოსობას უთანაბრებს და აღნიშნავს: “ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავისს თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის, მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომ გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულიად, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს,

ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე.ი ცხოვრების შიგმდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავისი დროებისა და თესლიც მომავლისა“.(http://www.tabula.ge)

ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში გმირის, წინამძღოლის, ლიდერის არსებობას. სწორედ ასეთი ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს და საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის ისტორიაში.

ამჯერად ჩვენი ინტერესები დაუკავშირდა ალ. ყაზბეგს და მის შემოქმედებას, რომელსაც ხელისგულზე ელაგა თავისი წინამორბედი ქართველი მწერლების შეხედულებები, ეროვნული გმირის შესახებ. საინტერესოა როგორ გაიაზრა: „ხევისბერიგოჩას“, „ელგუჯას“, „მამის მკვლელის“ და სხვათა ავტორმა თავისი ეპოქის ეროვნული გმირის იდეალური სახე. სწორედ ამ გარემოებებით არის განსაზღვრული ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობა. ჩვენ ვაპირებთ ისტორიული და შედარებითი, ასევე ტექსტზე მუშაობის, ანალიზის, სინთეზისა და სხვა მეთოდებზე დაყრდნობით შევისწავლოთ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება და კერძოდ ,,,ეროვნული გმირის მხატვრული სახე ყაზბეგის შემოქმედებაში“.

თავი I

ალექსანდრე ყაზბეგის - ლიტერატურული პორტრეტისათვის

„ვისაც უმოგზაურია არაგვის დაბურულ ხეობაში მის მოგონებაში წარუშლელად დარჩება დარიალის ბნელი კარები. ამ გზაზე ყოველ ბილიკსა და ღელეს, ყოველ ციხის ნანგრევსა და მინდორს მგზავრის ფიქრი, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების შმაგ, ტემპერამენტიან სამყაროში გადაჰყავს, ეს გზა ანანურიდან დარიალამდე მისი გმირების ცხოვრების გზა და მოედანია. ყაზბეგის გზნებით ქვეყანაშიც, დარიალის ნისლია ჩამოწოლილი. დარიალი-დიდი ლეგენდის სამშობლოა, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგი ამ

სამშობლოს უკანასკნელი თავდადებული. იგი ვერ ურიგდება ამ სამშობლოს სიკვდილს და მისი დღეგრძელობისთვის საკუთარი სიცოცხლე აქცია ლეგენდად“(ვ. კოტეტიშვილი, 1988;25).

ადამიანი, რომელმაც დაწერა: „ხევისბერი გოჩა“, „“ელგუჯა“, „მამის მკვლელი“ და სხვა.. თავისი დროისათვის უცხო იყო და იქნებ, ჩვენთვისაც ჯერაც არ არის დაახლოებული. მისი გენია არ გაჰყვა თავისი დროის შემოქმედთა გზას.

ყაზბეგის შემოქმედების ძალა იმაშია, რომ იგი იცავს ჩვენი სულის ინტეგრალურ ნაწილებს. მის მოხევეებსა და მთიელებს, თავისუფლებაზე და ბედნიერებაზე ოცნება, სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი. ისინი ეძებდნენ მას და მისთვის იბრძოდნენ, იხოცებოდნენ; ეს ნანატრი ოცნება თავისუფლებაზე მარტო მათი შთამომავლობისთვის, დღევანდელი თაობისთვის იქცა ბრწყინვალე სინამდვილედ. მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ძვირფასი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის, იმიტომ რომ მთელი თავისი შემოქმედებით განამტკიცებდა მკითხველის გულში მგზნებარე პატრიოტულ გრძნობას. ალექსანდრე ყაზბეგმა ქართველ მკითხველს განუმტკიცა სიყვარული სამშობლო-ქვეყნის წარმტაცი ბუნებისა და მისი მამაცი ადამიანებისადმი. სამშობლოს დაცვა, მისთვის საკუთარი სიცოცხლის და არც შვილის განწირვასაც არ გამორიცხავს, გავიხსენოთ გოჩას სიტყვები: „დღემც გაშავებია იმ მოხევეს, უკუღმართადამც მოქცევია იმ ქართვლის დედას წუთი სოფელი რომელმაც ხალხისათვის სახლიც, ნაშობიც არ გასწიროს“. ყაზბეგი ამ დიადი იდეების დაუცხრომელ პროპაგანდას ეწეოდა. „სამშობლოსადმი ტრფიალის, თავისუფლებისმოყვარეობის სამაგალითო იდეები, რომლებიც მუდამ ხმამაღლა ჟღერდა ქართულ ლიტერატურაში - ალ. ყაზბეგისთვისაც წმინდათაწმინდა ცნებები იყო. ეს დიადი იდეები სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი მისი მოთხრობებისა და რომანების გმირებს. ისინი სულით მაღალნი არიან, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, რომელთაც შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ. ყაზბეგის გმირთა ეს მაღალი მორალი, გულისხმობს მტკიცე და განუხრელი მეგობრობის იდეას, მოძმისთვის თავის დადებას, ამასთან ერთად,

ყაზბეგის გმირთა იდეალი - წმინდა და უმწიკვლო სიყვარულია. მწერალი ნერგავს მკითხველში ქალისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობას.

იგი გვიხატავს მამაც, შეუდრეკელ ქალებს, რომელთაც მამაკაცების გვერდით შეუძლიათ იბრძოლონ სამშობლოს დასაცავად. იმავე დროს მათი სული უნაზესი სიყვარულის შუქითა და მადლით არის გამთბარი. ამ კეთილშობილური იდეების ქადაგებას XIX საუკუნეში უაღრესად რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის პირობებში. ქართველი ხალხის ეს კეთილშობილური ტრადიციები - მგზნებარე პატრიოტიზმი, დაურღვეველი მეგობრობა, ვაჟკაცობა და რაინდობა, დაბრკოლებათა წინაშე ქედმოუხრელობა, სპეტაკი სიყვარული - ალექსანდრე ყაზბეგმა შესძლო გამოეხატა სრულყოფილად ძლიერად იმიტომ, რომ მწერალი თავის შემოქმედებით მუშაობას აფუძნებდა რეალისტური სისადავისა და ჭეშმარიტი ხალხურობის პრინციპზე.

მისმა მოთხრობებმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრეს საყოველთაო ყურადღება და კერძოდ „ელგუჯას“ დაბეჭდვამ გრიგოლ ორბელიანს შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატკბობისთვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამს. ჯერ ქართულენაზე მსგავსი არა დაწერილა - რა“.

მისმა თანამედროვეებმა განსჭვრიტეს უკვდავება ყაზბეგის გენიალური ქმნილებებისა. 1893 წელს, როცა ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა, გაზეთი „ივერია“ წერდა: ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა როცა თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველი ქართველის გულში ირწეოდა და ასეთს აკვანში გამოზრდილ ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“ (გ.ნატროშვილი,1949;7).

და მაინც, რაც არ უნდა უცნაურად გვეჩვენოს საზოგადოების ფართო წრემ ნაკლებად იცის, ან სულაც არ იცის, მწერლის ბიოგრაფიის მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა.ქართველი მწერალი, დრამატურგი, პოეტი, მთარგმნელი და მსახიობი ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წლის 8/20 იანვარს სტეფანწმინდაში. ხევის მებატონის

ოჯახის ერთადერთ ვაჟიშვილს მამა ძალიან ანებივრებდა. მას მშობლებმა პატარაობიდანვე საფუძვლიანი განათლება მისცეს, მასწავლებელთა მთელი რაზმი ამეცადინებდა უცხო ენებში, ხელოვნებასა თუ სხვადასხვა საბუნებისმეტყველო საგნებში. ის ბავშვობიდანვე ლაპარაკობდა ფრანგულად, რუსულად და ძალიან კარგად ცეკვავდა, რაც შემდგომში თეატრალურ ხელოვნებაში გამოადგა. თეატრალთა ცნობით ალექსანდრე ყაზბეგი დიდი მსახიობი არასოდეს ყოფილა, მაგრამ სცენაზე „მთიულურს“ მისნაირად ვერავინ ასრულებდა, ამ ყველაფერთან ერთად იგი წარმოსადეგი და სასიამოვნო შესახედაობის მამაკაცი იყო.

ყაზბეგის წინაპრები ჩოფიკაშვილები ყოფილან. ალექსანდრეს პაპა, გაბრიელი XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში სტეფანწმინდის მოურავი იყო, საქართველოში რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრების საქმეში დამსახურების გამო, გაბრიელმა მაიორობა მიიღო და მასვე ებოძა აზნაურობა. იგი ხევის გამგებლადაც დაუნიშნავთ. გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ მამის თანამდებობა მიხეილმა მისმა უფროსმა ვაჟმა დაიკავა, გადმოცემით იგი რთული ბუნების კაცი იყო, სიმკაცრითა და ახირებულობით გამოირჩეოდა. მიხეილს ცოლად საგინაშვილის ქალი შეურთავს, მაგრამ მალე დაქვრივებულა. მეორედ თარხნიშვილის ქალზე დაუწერია ჯვარი.

ალექსანდრეს დედა ელისაბედი, „კეკე“ როგორც შინაურებში იწოდებოდა კულტურული, ქართული მწერლობის მოტრფიალე და ოჯახის მოსიყვარულე დედა იყო. პატარა ალექსანდრე ფუფუნებაში იზრდებოდა. მასზე ორი ძიძა და რამდენიმე გამზრდელი ზრუნავდა. ბავშვობაში იგი ცელქი და მოუსვენარი ყოფილა, რის გამოც ხშირად თანატოლებთან ჩხუბი მოსდიოდა, რისთვისაც დედას „მოჩხუბარიძე“ დაურქმევია, რაც ძალიან მოწონებია და შემდგომში ლიტერატურულ ფსევდონიმად დაუტოვებია..

აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ ყაზბეგის გამზრდელი მოხევის ქალი ნინო, რომელსაც დიდი წვლილი ედო მომავალი მწერლის აღზრდაში, იგი ფრიად კეთილშობილი პიროვნება ყოფილა. ალექსანდრე მას „დედუშკას“ ეძახდა. ნინო იყო სტეფანწმინდელი ალიბეგაშვილის ქალი... ის გათხოვილი იყო გოჩიანთ გლახაზე

(ფიცხელაური). სწორედა აქ იზრდებოდა სანდრო... ნინო იყო ის ქალი, რომელმაც გაცილებით მეტი ამაგი დასდო თავის გაზრდილს, ვიდრე თვით მშობლებმა.

სანდროს (ასე ეძახდნენ სახლში) ძალინ ჰყვარებია გამზრდელი. ეს კარგად ჩანს კიდეც „დედუშკასადმი“ მიწერილ წერილში: „...გახსოვს, რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ ბატონების ხელში?... გახსოვს შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები?

შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთად და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა ამდენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლიან სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ იპოვე რამე რიგიანი ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ.“ ვფიქრობ გამზრდელ ნინოსთან ურთიერთობამ, როგორც ამას თვით ყაზბეგიც უსვამს ხაზს, გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერლის შემოქმედებაში, უბრალო ხალხისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვის თვალსაზრისით.

1862 წელს ალექსანდრე მშობლებს ჰაკეს პანსიონში გადაჰყავთ. 1863 წელს იგი თბილისის გიმნაზიაში აგრძელებს სწავლას, როგორც მესამე კლასის მოსწავლე. 1865 წლიდან მშობლები სასწავლებელში აღარ გზავნიან. დიდთოვლობის გამო ოჯახმა ხევიდან თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ალექსანდრე ძალიან განიცდიდა სწავლას რომ მოწყდა მაგრამ იძულებული გახდა ბედს შეგუებოდა. შემდეგ მშობლებმა გადაწყვიტეს აღედგინათ სასწავლებელში მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

მწერალი 18 წლის ასაკში უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთს გაემგზავრა. მოსკოვში მწერალს მატერიალურად ძალიან უჭირდა. იგი სამეურნეო აკადემიის სტუდენტი გახდა. სწავლას შეუდგა მონდომებით, სასწავლებელმა ალექსანდრეს ამბიციები ვერ დააკმაყოფილა და ამის გამო პეტერბურგს გამგზავრებულა სხვა სასწავლებელში შესასვლელად მაგრამ, ვერ მოუხერხებია და უკან დაბრუნებულა.

ბუნებით ძალიან უბრალო ადამიანს თავიდანვე არ აკმაყოფილებდა მამისეული აღზრდის სისტემა. მას გადაჭარბებულად ანებივრებდნენ და ეს არ მოსწონდა მწერალს. მამის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება რადიკალურად იცვლება.

მწერალი მიწებს გლეხებს უსასყიდლოდ ურიგებს, დარჩენილი ქონების დიდ ნაწილსაც გასცემს, რის შემდეგაც ის თითქმის უარაფროდ რჩება. იგი უარყოფს სამხედრო კარიერას და 1867 წელს სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში მიემგზავრება. სწავლისას თარგმნის შექსპირსა და გრიბოედოვს, აქვე წერს პირველ პროზაულ ჩანახატებს, მაგრამ უფულობა აბრკოლებს. ყველანაირად დადებითი პიროვნება გარეგნობით, ნიჭით, განათლებით, ადამიანობით, ოჯახისშვილობით პირად ცხოვრებას ვერაფრით იწყობს.

„1869-1870 წლებში ალექსანდრე ყაზბეგი ცხოვრობდა რუსეთში, სოფელ ჩერმენელოეში ჭავჭავაძეების ოჯახში, რომლის ერთ-ერთ ვაჟს ცოლად ჰყავდა მასალსკის მაზრიდან თავად ნიკოლოზ შატიხინის ქალიშვილი. სწორედ ჭავჭავაძეებთან გაიცნო ალექსანდრე ყაზბეგმა ნინა ჩერნიშოვა-კლრუგლოვა, რომელიც იყო გრაფ ჩერნიშოვის ერთადერთი ქალიშვილი. ერთ დღესაც მამას ქალიშვილი ჭავჭავაძეებთან მიუყვანია სტუმრად, ალექსანდრეს და ნინას მაშინვე მოსწონებიათ ერთმანეთი. შემდეგ ნინას თავად დაუპატიჟებია ახალგაზრდა მწერალი საკუთარ მამულში. ნაცნობობა მეგობრობაში, მეგობრობა კი დიდ სიყვარულში გადაიზარდა.

პირველად ყაზბეგი ნინას სიყვარულში მაშინ გამოუტყდა, როცა მის მიერ ფორტეპიანოზე სონეტის შესრულებით მოიხიბლა. როგორც კი ნინამ დაასრულა დაკვრა, ალექსანდრე ხელზე ეამბორა და სიყვარულში გამოუტყდა: "ნინა, მიყვარხარ, ნუთუ არ გრძნობ ამ ამბავს?"

საქმე იქამდე მივიდა, რომ მალე ქორწილიც დაინიშნა, მაგრამ მოხდა ერთი ამბავი. ალექსანდრე ყაზბეგს ნინას ოჯახში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე უსიამოვნება მოუვიდა ნინას მამის მეგობარ რუს გენერალთან, რომელიც ოდესღაც ამიერკავკასიაში მსახურობდა და ძალიან აუგად მოიხსენია როგორც საქართველო, ისე ქართველი ხალხი. ალექსანდრე ყაზბეგმა ვერ მოითმინა გენერლის შოვინისტური აზრები და ცხარე კამათი გაიმართა. შემდეგ კი წვეულება დატოვა და აღარც გამოჩენილა ჩერნიშოვების ოჯახში, თუმცა გენერლის დუელში გამოწვევა მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი.

ნინა და მამამისი თავად ეახლნენ ალექსანდრე ყაზბეგს, რომ ეპატიებინა გენერლისათვის და ქორწილი არ ჩაეშალა, მაგრამ ამაყი ქართველი მწერალი არ დათანხმდა საცოლისა და სასიმამროს თხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა წერილობით მოუხადა ბოდიში, ალექსანდრე ყაზბეგმა მისი ქვეყნის შეურაცხყოფა ვერ აპატია ვერც რუს გენერალს და ვერც ჩერნიშოვების ოჯახს. ასეთი დასასრული ჰქონდა ამ სიყვარულს, არც ქორწილი შედგა და არც შემდეგ უფიქრია ქორწინებაზე ვინმე სხვასთან“ (http://www.resonancedaily.com).

1870 წლის ნოემბერში სასოწარკვეთილი და განადგურებული მწერალი სამშობლოში ბრუნდება და მიდის ცხვარში, რათა ხალხის ყოველდღიური ყოფა შეესწავლა, მწერალმა ამ არჩევანით მამა-პაპის მიერ განვლილ გზაზე უარი და თანამდებობრივ კარიერაზე უარი თქვა. მთაში გატარებული შვიდი წელი ნაყოფიერი გამოდგა. თავისი არჩევანით მიზანს მიაღწია, დააგროვა უამრავი მასალა მოთხრობებისათვის, ამ გზაზე მწერალმა მრავალი დაცინვა და დამცირება გადაიტანა, მაგრამ მან უდიდესი პრინციპულობა და უკომპრომისობა გამოიჩინა.

მწყემსობის შემდეგ ყაზბეგი თბილისში დასახლდა მაგრამ არ ჰქონდა საკუთარი ბინა. ხან სასტუმროში იყო ხან რომელიმე ორგანიზაციაში სამადლოდ გამოყოფილ ოთახში. აკაკი წერეთელმა, რომელიც იმ დროს თეატრის დასს ხელმძღვანელობდა, ალექსანდრე სცენაზე აიყვანა. ბევრი როლი დაისწავლა მან, მაგრამ ყველაზე კარგად მაინც რუსი გენერლის როლს ასრულებდა. როცა თეატრს საქმე ცუდად წაუვიდა, აკაკიმ „დროებაში“ გადაიყვანა და სერგეი მესხს მიაბარა, ბინაც რედაქციის შენობაში მიუჩინეს. ფუფუნებაში გაზრდილს ხელში აღარაფერი შერჩა, შემოქმედებასაც უწუნებდნენ. პიესები გაუნადგურეს, მაშინ როცა პარალელურად, რამდენიმე მათგანი ტრიუმფით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, ბოლოს კი საკუთარი თხზულებების მოპარვაშიც დასდეს ბრალი.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ყაზბეგიანა“ ვკითხულობთ:„ელისაბედ ყაზბეგს არა და არ სჯეროდა სანდროს მწერლობა. თანაც - ნიჭიერი და საკვირველი? აბა

რა დასაჯერებელი გახლდათ. თავისივე მემუარულ ჩანაწერებში სტრიქონსა და სტრიქონს შორის დაჟინებით გამოკრთის ეჭვი, რაღაც დამამცირებელი მისი სახელოვანი ბიძაშვილისა, ეჭვი, რაც თანდათან გაზრდილა, გაფუებულა და დეტექტივის ქარგაც შეუძენია, რათა... გაეცამტვერებინა ეს სახელი, ჩამოერთმია ის საუკეთესო მოთხრობები და რომანები, თვალსაჩინო მწერლად რასაც დაემკვიდრებინა ალექსანდრე ყაზბეგი, და გადაელოცა დიმიტრი ყაზბეგისათვის, ერთისა ძმა რომ გახლდათ და მეორისა - ბიძაშვილი.

ავი ხმა გადიგამოდიოდა და იონა მეუნარგიაც მას აჰყვებოდა თუ ისედაც ბევრი მოეჩვენებოდა მოჩხუბარიძის ბელეტრისტული ქმნილებანი, აჩქარებას უსაყვედურებდა, გულმოდგინებისა და მოთმინების უქონლობას და შედარებისათვის ფრანგული ლიტერატურის თვალსაჩინო სახელებს მოიხმობდა: „დოდე და ზოლა რომელნიც ითვლებიან საფრანგეთის საუკეთესო რომანისტებად, რვა-ცხრა თვე წერენ რომანს, ბატონი მოჩხუბარიძე კი ქადებსავით აცხობს რომანებს“.

ალექსანდრე ყაზბეგს ამ საყვედურის მიზეზი ვერ აეხსნა: „მაშინ ისინი (დრამატული კომიტეტი) დააფრთხო ჩემმა ნაწერმა პიესების რიცხვმა, და ახლა თქვენ დაგაფრთხოთ ჩემმა მოთხრობების რიცხვმა. რა უყოთ? - ეგეთი ხასიათი მაქვს, როცა ჩავუჯდები წერას, თავს ვეღარ ვანებებ ხოლმე და ამიტომ იწერება ამდენი.“

ვახტანგ კოტეტიშვილი პარალელურ ტექსტებად მოიხმობდა „მოძღვრის“ ორ ფრაგმენტს - დაბეჭდილსა და ხელნაწერს - და ზერელეობად და სიმართლის ღალატად ჩაუთვლიდა მკვლევარს იმის მტკიცებას, თითქოს „ავტორს წაუკითხავს ორიგინალი და შემდეგ განუზრახავს მისი გადმოცემის დაწერა, და... მეტად დამახინჯებულად, უნიჭოდ შეუსრულებია თავისი განზრახვა.“

შედარება-შეპირისპირება სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებდა - ტექსტი ერთი და იგივე გახლდათ, მხოლოდ აქა-იქ სიტყვები გადასმულიყო და ერთი-ორი ფრაზაც ჩამატებულიყო“(რ.ჩხეიძე,2005;324-344).

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი) აღმოჩნდა ტრაგიკული ბედის ადამიანი ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. 1893 წელს იგი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. 19 დეკემბერს ალექსანდრე ყაზბეგის ცხედარი თბილისიდან ხევს წაასვენეს, ხოლო 22 დეკემბერს სოფელ სტეფანწმინდაში მიაბარეს მშობლიურ მიწას.

“სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მის კუბოს მზე და მთვარეც მაგრამ რაღა დროის?“ წერდა აკაკი წერეთელი.

სამწერლო ასპარეზზე როდესაც გამოვიდა ალექსანდრე ყაზბეგი მაშინვე მიიქცია ყურადღება თავისი მოთხრობებით. ხალხმა შეიყვარა იგი, გამოჩნდნენ მწერლები რომელთაც აღიარეს ის, ალექსანდრე ყაზბეგს ვაჟა ფშაველამ ასეთი ლექსი მიუძღვნა:

„შვილო ტანჯულის ქვეყნისავ,

სული დაჰლიე ტანჯვითა,

მიუხვალ მამა-პაპათა,

ამოღებულის ხანჯლითა“.

ასეთნაირად წარმოუდგებოდა ვაჟა-ფშაველას ყაზბეგი, ხანჯლით მებრძოლი და დამცველი კაცური ღირსებისა, რა თქმა უნდა, მე-19 საუკუნეში, არანაირი ბრძოლა არ იყო ხმლით, თავისუფლებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ იყო კალმით ბრძოლა და ალექსანდრე სწორედ კალმით იყო გამორჩეული მებრძოლი, ის იყო მცველი ქართული სიტყვისა, ქართული სულიერებისა და ამ თვალსაზრისით ნამდვილი რაინდი... ვაჟა ფშაველას ლექსი ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

პირობა ქართველებისა,

ვგონებ მიგყვება უბეში,

უჩვენე შენი კალამი,

ნაწები სისხლის გუბეში“.

ასე მეტაფორულად დაგვიხასიათა ვაჟა ფშაველამ ყაზბეგის კალამი, „ამოწებული სისხლის გუბეში“, იმიტომ რომ მართლაც მისი შემოქმედება არის შინაგანად გატანჯული და იმიტომაც არის ასეთი შთამბეჭდავი რომ მთელს სულს, გულს, გონებას დებდა თავის ნაწერებში.

არაჩვეულებრივი ლექსიმ მიუძღვნა გალაქტიონ ტაბიძემ ალექსანდრე ყაზბეგს:

„მე კავკასიის ქედები მთხოვენ,

მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,

ვუსმინოთ ყაზბეგს, ხევის ბეთჰოვენს,

აგუგუნება კაიშაურის“.

ამგვარად შეაფასა გალაკტიონმა ყაზბეგი თვითონ გამორჩეული მუსიკალური სმენის ადამიანმა, რომელსაც საერთოდ სამყაროს ხმები ესმოდა და პოეზიაში გამოხატავდა თითქოს პლანეტების ხმაურს, მუსიკას, და მან ზუსტად შეიგრძნო ყაზბეგის შემოქმედების მუსიკალურობა და შეადარა არაჩვეულებრივ ბეთხოვენს.

ვახტანგ კოტეტიშვილმა კი ასეთი სტრიქონები დაწერა ყაზბეგის შესახებ: „მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით არიან და მათთან არის მთას შეფარებული ქართული სულიც“ ესე იგი ვაჟა ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა გადაარჩინეს ქართული სულიერება...(ვ.კოტეტიშვილი,1959;541)

გრიგოლ ორბელიანმა როდესაც პირველად წაიკითხა ყაზბეგის მოთხრობები, ასეთი რამ დაწერა: „ალექსანდრე ყაზბეგი არის „ქართველების ჰომეროსი“, მისმა ნაწერებმა რატომღაც ჰომეროსი გაახსენა და ჰომეროსის „ოდისეაცა“ და „ილიადაც“, რომელთა პერსონაჟები გამოირჩევიან განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებით. ისინი მაღალი სულიერების მქონენი, მებრძოლნი, ვაჟკაცნი და ღირსების დამცველნი არიან.

ამიტომაც გაახსენა მას ჰომეროსი ყაზბეგმა. მან ხომ ქართულ მწერლობაში ყველაზე გამორჩეულად დახატა თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ის, რომ ქართველს შეეძლო თავისუფლებისათვის თავიც კი გაეწირა.

მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ის არ იყო ისე პოპულარული, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ მწერალს, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე წილად არ ერგო სიცოცხლეშივე განეცადა შესაფერისი პატივი, ირგვლივ მყოფთაგან. ამიტომაც იყო, რომ მისი თანამედროვენი აღწერენ თუ როგორ, მძიმე პირობებში ცხოვრობდა ალექსანდრე ყაზბეგი, ხანდახან რა სულიერ თუ მატერიალურ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ რაც მთავარია, მან შეძლო ძალების მოკრება და შექმნა დიდებული ნაწარმოებები. რომლებშიც მოგვცა იდეალური ეროვნული გმირის სახეები. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია „ხევისბერი გოჩა“.

თავი II

საერო და სასულიერო ლიდერის მხატვრული სახე „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით

„ხევისბერი გოჩა“პირველად დაიბეჭდა: გაზეთ „დროებაში“ 1884წ. ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ფართო და მრავალმხრივია. მის ნაწარმოებებში ასახულია ქართველი ხალხის ჭირ-ვარამი, მათი ფიქრი და მისწრაფებანი. როგორც ზევით აღვნიშნეთ ყაზბეგის შემოქმედებაში ასახულია საქართველოს საზოგადოებრივი ვითარება მეცხრამეტე საუკუნეში. მწერალი გვიხატავს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის სამართლიანობას. მართალია „ხევისბერი გოჩა“ არ ეხება რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას საქართველოში და მასში მე-16

საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილეა დახატული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებით ავტორი თანამედროვეობასაც შეეხმიანა: შექმნა იდეალური ეროვნული გმირის - საერო და სასულიერო ლიდერის მხატვრული სახე, რომელსაც უნდა მიეცა მაგალითი მკითხველისათვის: „1. „ხევისბერი გოჩა“ მოქმედებს მიუკერძოებლის სტატუსით; 2. პასუხისმგებლობის უდიდესმა გრძნობამ, თავისი ხალხისა და უფლის მიმართ, ასევე სიამაყემ და პატივმოყვარეობამ, მას აფექტის მდგომარეობაში ჩაადენინა შვილის მკვლელობა; 3.ხევისბერი თემის ზნეობის დამცველია, მას ეშინია ონისეს მაგალითმა ცუდი გავლენა არ იქონიოს ხალხზე; 4. შვილის ცუდი საქციელი, მამისთვის როგორც აღმზრდელისთვის, სამარცხვინო ლაქაა რომლის ჩამორეცხვა მხოლოდ ასეთი სისასტიკით შეიძლება, რომ სხვას იგივე აღარ დაემართოს. შვილს სიკვდილით გამოასყიდვინა და თვითონაც გამოისყიდა დანაშაული“ (ქართველი მწერლები სკოლაში. ა.ყაზბეგი. ნაწილი 1. გვ.205).

„ხევისბერი გოჩა“ თავისი იდეურობით და მაღალმხატვრული ღირსებით ერთ-ერთი საუკეთესოა მწერლის ნაწარმოებებს შორის. იგი ძვირფასი მარგალიტია ქართულ პროზაში. მოთხრობის პერსონაჟები, გამორჩეულნი არიან, თავიანთი ბუნებითა და შეუდრეკელი ვაჟკაცობით. როგორც ცნობილი კრიტიკოსი გურამ ასათიანი აღნიშნავს: „ესენი არიან შექსპირული ხასიათები“(ქართველი მწერლები სკოლაში,ა.ყაზბეგი, ნაწილი1. გვ190.) მართლაც, როგორც ყაზბეგის სხვა ნაწარმოებებში, აქაც საოცარი ჭიდილია ხორცსა და სულს შორის, ისინი გამუდმებით ებრძვიან საკუთარ თავს, რათა მოვალეობის წმინდად აღმსრულებელნი იყვნენ. მათთვის მთავარია ეროვნული იდეალები, ვაჟკაცური ღირსების დაცვა... ასევე ისინი სამყაროზე შეყვარებულნი არიან და მთელი სისავსით შეიგრძნობენ სამყაროს მრავალფეროვნებას, ბუნების მშვენიერებას. მათ ბუნებით ტკბობა შეუძლიათ, ისინი ხშირად შეჰყურებენ ზეცას, რადგან მათ ყოველთვის აქვთ შეგრძნება, რომ ღვთის თვალი დასტრიალებს მათ ცხოვრებას და ისინი მოვალენი არიან უპირველეს ყოვლისა ღვთის წინაშე. „ხევისბერი გოჩა“ მართლაც

დასამახსოვრებელი შთამბეჭდავი და გამორჩეული პერსონაჟია მოთხრობისა, არ შეიძლება ნაწარმოები წაიკითხო და მისი სახე ღრმად არ აღგებეჭდოს მეხსიერებაში.

„ხევისბერ გოჩაში“ ისტორიული წარსულია გახსენებული,რომანის ისტორიული ფონის დაახლოებით დადგენა ხდება მასში გამოყვანილი კონკრეტული ისტორიული პირთა იდენტიფიკაციით. ეს პიროვნება არის ნუგზარ არაგვის ერისთავი. იგი ცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს.

ისტორიულად ცნობილია, რომ ნუგზარ ერისთავი მართლაც ცდილობდა ხევის დამორჩილებას. ამ მიზნით მან რამდენჯერმე ილაშქრა ხევზე. ერთხანს ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს: ხევი თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია და მოურავებიც დაუნიშნა (XVI საუკუნის 90-იან წლებში), მაგრამ მოხევეთა საბოლოოდ დამორჩილება მაინც ვერ შეძლო, ნუგზარის საქმე განაგრძო მისმა შვილმა ზურაბ არაგვის ერისთავმა. სარგებლობდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ პოლიტიკური მდგომარეობით და ცდილობდა მეზობელი მთიანი რაიონების დამორჩილებას. სასტიკი იყო ზურაბ ერისთავის შეტევა მთიელ ხალხზე, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე მთიელი ხალხი გმირულად იგერიებდნენ ძლიერი ფეოდალის თავდასხმებს.

ნაწარმოებში ჩვენს თვალწინ იშლება მოხევეთა ცხოვრება, მოხევენი მართლაც გამორჩეულნი იყვნენ, ისინი დარაჯობდნენ საქართველოს კარს, დარიალის ხეობას და ცდილობდნენ, რომ ეს შემოსასვლელი მუდმივად ყოფილიყო გამაგრებული მტერს ვერ შეძლებოდა აქედან შემოსვლა საქართველოში და ჩვენ ვიცით, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და ჯარებმა დაიწყეს შემოსვლა, მოხევეებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მოხევე ილია ჭავჭავაძემაც გაგვაცნო, „მოხევე ლელთ ღუნია“ „მგზავრის წერილებიდან“, ილიამ სწორედ მოხევეს ათქმევინა მთავარი სიტყვები: „ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“, მოხევე იმიტომ აირჩია ილია ჭავჭავაძემ, რომ ის კარგად იცნობდა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას და მისი შემოქმედებიდან ჰქონდა ალბათ ასეთი შთაბეჭდილება მოხევეებზე. ამ მოთხრობაში

ყაზბეგი წარმოგვიჩენს თუ როგორ იბრძვიან მოხევეები თავისუფლებისათვის ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ, ნუგზარ ერისთავი იყო ნათესავების დახმარებით გაამაყებული ძირგამაგრებული ერისთავი და მან გადაწყვითა თავისუფალი ხევი დაემორჩილებინა, ზუსტად ეს ბრძოლაა აღწერილი ნაწარმოებშიც ხევისბერი გოჩას წინამძღოლობით.

ალექსანდრე ყაზბეგი თხზულების დასასრულს ასეთ მინაწერს აკეთებს: „ეს მოთხრობა სიტყვა-სიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხევემ ღინჯა ხულელმა“(ს.ჩიქოვანი,1955;325).

მკვლევარი როსტომ ჩხეიძე თავის ბიოგრაფიულ რომანში - „ყაზბეგიანა“, რომელიც მან ყაზბეგს მიუძღვნა წერს: „ ხევში ბრუნავდა „ხევისბერი გოჩას“ სიუჟეტი, ის მზამზარეული ქარგა, ალექსანდრე ყაზბეგის ხელის შეხებას რომ მოელოდა, რათა გაშეშებული, თუმც შინაგანად დამუხტული გადმოცემა დიდი ვნებათაღელვის, ანტიკური ტრაგედიის ბადალი ჭიდილის საძირკვლად ქცეულიყო. სიუჟეტი რამდენიმე ვერსიად შემორჩენილიყო, რომელთაგან „ღინჯა ხულელს“ ერთი გამოერჩია“(რ.ჩხეიძე, 2005;262).

ხევისბერი გოჩა არის ხევის ბერი, ხევისბრობა საკმაოდ რთული ფენომენი იყო, ხევისბრობა არ გადადიოდა მემკვიდრეობით, არც რაიმე არჩევითობის პრინციპით აირჩევდნენ, ხევისბერს ღმერთი გამოარჩევდა, ეს ადამიანი ღვთის ნებით ხდებოდა ხევისბერი. არსებობს უამრავი ნაშრომი და გამოკვლევა, თუ რას წარმოადგენენ ხევისბერები:

1.„ხუცესი, იგივე ხევისბერი, წინამძღოლი იყო არა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში, მასვე ევალებოდა საომარი და სამართლებრივი საკითხების წარმართვა და გადაწყვეტა“განმარტავს ლელა გაბური (https://khevsureTi.ge).

2.“ წლების წინ, როდესაც მთას თავისი კანონები ჰქონდა, გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა ხევისბერი - ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, თვისებებით და სამართლიანობით გამორჩეული უნდა ყოფილიყო. ახლა ხევისბერი მხოლოდ ხატობასა და დღეობებზე ასრულებს თავის მოვალეობებს“ (ვკითხულობთ - გაზეთი კვირის პალიტრა 2018, 17 სექტემბერი).

3.ხევისბერის ინსტიტუტის შესახებ ხევსურეთში ვრცლად მსჯელობს ვ. ბარდაველიძე. მართალია სტატიაში ავტორი კონკრეტულად ხევსურეთის რეალობაზე საუბრობს, მაგრამ, ვფიქრობთ იგივე შეიძლება ითქვას მოხევეთა ხევისბერის შესახებ.

„თემის უფროსს - პირველყოფილი თემური წყობილებიდან წარმომდინარე სახელი - ხუცი, ანუ ხუცესი ერქვა. ამ სახელის პარალელურად სრულიად ხევსურეთის თემისა და მასში შემავალი ზოგიერთი მსხვილი თემის უფროსები ხევისბერის სახელს ატარებდნენ. ხევისბერი, ხუცესი და მეენე სათემო ჯვართან ყველაზე დაახლოებულ პირებად ითვლებოდნენ, რომლის სახელითაც ისინი თემში წეს-წყობილებას ამყარებდნენ. ამიტომაც ეს ორი პირი თავ-მორიგენის, ანუ თავ-მერიგენის ეპითეტით მოიხსენიებოდნენ. მსხვილ თემებში ხევისბერი, ანუ ხუცესი რამდენიმე (გადმონაშთების მიხედვით 2-4) იყო და ამათგან თავ-მორიგედ მხოლოდ ერთი ითვლებოდა. თავ-მორიგეობა (ე.ი. თემის უფროსისა და ჯვარის მეენის) ხელისუფლება მუდმივი, ხოლო მათი თანამდებობა რიგ თემებში მემკვიდრეობითი იყო. ისინი უნჯ ყმათა წრიდან გამოდიოდნენ და ამასთანავე სათემო ჯვარის მიერ არჩეულ და თავის თანამდებობაზე დაყენებულ პირებად ითვლებოდნენ. ხუცესი (ანუ ხევისბერი) თემის საერო და სასულიერო ცხოვრებას ხელმძღვანელობდა. მრავალი თემის მიმართ დამოწმებულ გადმონაშთებში ხუცეს-ხევისბერი განუსაზღვრელი უფლების მქონე პირად ისახება თავისი თემის ფარგლებში. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, გარკვეული, ამასთანავე საკმოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მას არ შეეძლო დარბაზის გარეშე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. სასულიერო ცხოვრებაში ხუცესი (ხევისბერი), როგორც მთავარი ქურუმი, ყველა მთავარ სატაძრო რიტუალსა და მსხვერპლის შეწირვის წესებს ასრულებდა ამავე დროს ის განაგებდა სათემო ჯვარის ქონებას, კერძოდ ჯვარის მიწებსა და საქონელს. მის ფუნქციაში შედიოდა აგრეთვე, ერთი მხრივ, ჯვარის საჭურჭლისა და ქონების დაცვის საქმეში მეთვალყურეობა და, მეორე მხრივ, ხვნა-თესვის, მკის, ლეწვისა და სხვა სახის აგრარულ და მესაქონლეობის დარგის სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობა ჯვარის მეურნეობებში, ხოლო რიგ შემთხვევაში მეთემეთა მეურნეობებშიც. და ბოლოს, მის მოვალეობას

შეადგენდა სათემო ჯვარში საღალე საბეგრო და საბალახე შემოსავალთა და სხვადასხვაგვარ ვალდებულებათა უზრუნველყოფა (ეს უკანასკნელი მოვალეობა ჯვარის მეენის ფუნქციაშიც შედიოდა). ხუცები, განსაკუთრებით მსხვილი თემების ხევისბერები, რჯულის საკითხებშიც ერეოდნენ, ხოლო სრულიად ხევსურეთის თემის ხევისბერ-მეენე საღმრთო გუდანის ჯვარის სახელით მთავარი რჯულისმდებლის როლში გამოდიოდა ხევსურეთის მასშტაბით.

ამგვარად, ჯვარის მეენე, ხუცეს-ხევისბერთან ერთად, სათემო ჯვარსა და მეთემეთა შორის შუამდგომლის როლში გამოდიოდა და ჯვარის სახელით ჯვარის ქონების გაფართოებისათვის ზრუნავდა. ამასთან ერთად მეენის მოვალეობას შეადგენდა რელიგიური წესების შეუხრელად შესრულების მეთვალყურეობა, მივიწყებულ დღეობათა და სხვადასხვა საღვთისმსახურო ინსტიტუტების აღდგენა-შემაგრებაზე ზრუნვა. ამინდზე, მოსავლიანობაზე და სხვა მისთანათა შესახებ წინასწარმეტყველება“ (ვ.ბარდაველიძე - ხევსურული თემის მმართველობის სისტემა // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ,XIII, N10, 1952, გვ.623-630 - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია: ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი).

თუმცა რომც არაფერი ვიცოდეთ ხევისბერის ინსტიტუტის შესახებ, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან ნათელი წარმოდგენა გვექმნება ამ თანამდებობის - შესახებ. ძალიან კარგად ვიგებთ თუ ვინ არის ხევისბერი, წინამძღოლი სულიერადაც და ბრძოლებშიც, იგი წინ მიუძღვის თავის ხალხს. ამ კუთხის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებას განაგებს, მშობელი მამა თავისი ხალხისა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით აღბეჭდლი, ის არის მაგალითი ყველასთვის და სწორედ ასეთნაირად წარმოგვიდგება ხევისბერი გოჩა მოთხრობაში.

თხზულებაში როცა პირველად ჩნდება ხევიბერი მის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით, მაგრამ პერსონაჟების საუბრიდან უკვე ირკვევა, რომ ის არის სახელგანთქმული, კონკრეტულად ჩვენ ჯერ ვეცნობით მის შვილს ონისეს, ვიცით, რომ მოთხრობის სიუჟეტი იწყება გუგუა ფიჩიტაურის ქორწილით და ონისე არის გუგუას ხელისმომკიდე, ავტორი

ამბობს ონისეზე, რომ ის არის განთქმული ხევისბერისშვილი, თავად ხევისბერს ვეცნობით შემდეგ თავებში, როდესაც ახლად ჯვარდაწერილი გუგუა და ძიძია მიდიან სოფელში. საგულისხმოა რომ ჯვრისწერის რიტუალი სანამ დაიწყება, პირველად მათ „ხევისბერი“ ლოცავს და ეგებება, სწორედ ამ პერიოდში იხატება ჩვენს წინაშე გოჩა და მწერალი ცდილობს, რომ სულიერი ღირსებები, რაც გოჩას გააჩნია, მის გარეგნობაში აირეკლოს და ისეთნაირად ხატავს მის **პორტრეტს,** რომ მკითხველს მის მიმართ საოცარი პატივისცემა და მოწიწება უჩნდება: „აგერ შევიდნენ სოფელში, მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც იდგა ვიღაც წარმოსადეგი მოხუცი, გათეთრებული, როგორც თოვლი, და მხიარულად შეჰყურებდა მომავალთ. იმისი კეთილი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზედ პატივისცემას გაგრძნობინებდათ და ჭკვიანი თვალები, გულკეთილობის გარეშე, მბრძანებლობით გამოიყურებოდნენ.

გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებელის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევისბერი გოჩა , მმართველი, მამა, თავის ხალხისა, ახალგაზრდებს. იმას პირველს უნდა დაელოცა მექორწილენი და მშობლიურის ლმობიერებით ესურვა მათი ბედნიერება. ონისემ შეხედა თავის მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს იხრიდა და რომლის სიტყვაც გადაუბრუნებლად სრულდებოდა და ფერმა მეტად გადაჰკრა, პირი მომეტებულად გაუშრა“. (ს.ჩიქოვანი, 1955;270)

მიუხედავად იმისა რომ გოჩა მედიდური შეხედულებისა იყო, მტკიცე, გონიერი, მკაცრი გამომეტყველებით, ის კი არ აშინებს გარშემომყოფთ, არამედ მშობლიურ სითბოს ასხივებდა თვალებისაგან, ის იყო მმართველი მამა თავისი ხალხისა და ამიტომაც ის პირველი ლოცავდა ამ ახალგაზრდებსაც. ძიძიას იგი მშობელ მამასავით ექცევა, გაყინულ ხელებს უთბობს და სახარებისეულ სიტყვებს ეუბნება: „უფალმა შეგაერთათ, კაციმც ნუ გაგაშორებთ“, ანუ როცა ქალი და კაცი ჯვარს დაიწერს, არავის არა აქვს უფლება დაარღვიოს ეს უთიერთობა.

ნაწარმოების მნიშვნელოვანი დეტალია ხევისბრის დამოკიდებულება შვილის მიმართ, მას ძალიან უყვარს შვილი, დედა არ არის ნახსენები მოთხრობაში, ალბათ, ავადმყოფობით ან რომელიღაც სხვა მიზეზით გარდაეცვალა, ამიტომაც იგი შვილს მარტო ზრდის და განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული აკავშირებს მასთან, მაგრამ ის მხოლოდ იმისთვის არ ზრუნავს, რომ მისი შვილი იყოს ცოცხალი და ჯანმრთელი, არამედ პირველ რიგში სულიერად იყოს ღირსეული, ამიტომაც ძალიან ხშირად გვხდება ეპიზოდები, რომლებშიც ჩანს როგორ ზრუნავს იმაზე, რომ შვილს ფეხი არ დაუცდეს რთული ცხოვრების გზაზე.

როგორც ვიცით, ონისე ვისი ხელისმომკიდეც იყო, მისი მეუღლის ძიძიას მიმართ გაუჩნდა სიყვარულის გრძნობა, რომელიც მას უეცრად დაატყდა თავს, თუმცა გრძნობდა, რომ ამ სიყვარულს განხორციელება და გაგრძელება არ ეწერა, მაგრამ ვერა და ვერ უმკლავდებოდა ამ გრძნობას. საგულისხმოა რომ შვილსა და ძიძიას უგუნებობა გოჩამ მაშინვე შეატყო და თითქოს მიხვდა თუ რა ცეცხლი ტრიალებდა მათ გულებში, ამიტომაც შვილს უთხრა რომ ქორწილში აღარ წასულიყო და სახლში გამოესწორებინა თავისი გუნება-განწყობილება.

აქვე საუბარია იმაზე, თუ რას წარმოადგენს გოჩა თავისი ხალხისთვის, თვითონ როგორ აქვს თავისი მოვალეობა გააზრებული, ყაზბეგი ყველაფერს სრულყოფილად წარმოგვიჩენს რათა მკითხველმა უკეთ გაიაზროს ის მოვალეობები, რაც ხევისბერს აქვს დაკისრებული, ის იყო ხალხის მიერ არჩეული იმ თვალსაზრისით, რომ მას ხალხი ენდობოდა, მაგრამ ის იყო ასევე ღვთის რჩეული და მას ეს პასუხისმგებლობა შესისხლხორცებული ქონდა, როგორც „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ იგი აღმასრულებელი იყო ღვთისა და ერის ნებისა, ეს ორივე ჰარმონიულად იყო შერწყმული მასში და განახორციელებდა კიდეც, ამიტომაც მისი შუბლი თითქოს აღბეჭდილი იყო პატიოსნების ბეჭედით, ის იყო მოსამართლე თავისი ხალხისა და ყოველთვის მზადყოფნაში იყო ედარაჯა თავისი ხალხის სულიერებისათვის.

ერთგან ქორწილიდან სახლში დაბრუნებული გოჩა დაინახავს, რომ შეწუხებული ონისე სადღაც წასვლას აპირებს, მან შეაჩერა არაფერი ჰკითხა თავისი ამ მდგომარეობის შესახებ, თუმცა შემდეგი სიტყვები უთხრა გადაჭრით და მტკიცედ: „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო... გახსოვდეს ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჟვისთვის არის გაჩენილი!“

მწერალმა ფორმულასავით ათქმევინა ხევისბერ გოჩას ის, რაც ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ღირსეული და პირნათელი იყოს თავისი ვალდებულებების წინაშე, ეს რომ გახსოვდეს ადამიანს ბევრ რამეზე მოგიწევს უარის თქმა, ბევრი სურვილის დათრგუნვა და უგულვებელყოფა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი უნდა იტანჯოს, ბედნიერებას არ ეძიებდეს, მაგრამ მან უნდა იცოდეს რომ მუდმივი ზრუნვა ადამიანობასა და სულიერებაზე, მოითხოვს იტანჯო, ებრძოლო შენს ხორციელ სურვილებს, ხანდახან საჭიროა ცხოვრებაში დაუწერელ კანონებს მიჰყვე, რომელიც არსად არ წერია მაგრამ შუბლზე უნდა გეწეროს, როგორც ღირსეულ ადამიანს, რომ მისი საქციელი მოქმედებს მთელს გვარზე, თემზე, ქვეყანაზე... ამ შემთხვევაში იგი ახსენებს რომ თავისი საქციელით შეარცხვენს ან ასახელებს, მამას, გვარს, თემს, ქვეყანას, ერს, ადამიანი სადაც არ უნდა წავიდეს იგი ყველგან თავის ოჯახს, ქვეყანას წარმოაჩენს და ამ ყველაფერს ახსენებს იგი შვილს, რომ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ეს.

ონისე ძალიან კარგად იყო აღზრდილი, იგი ცდილობს აღასრულოს როგორც, ხელისმომკიდის მოვალეობა, შვილის მოვალეობა და ასევე აღასრულოს ხევის წინაშე არსებული მოვალეობა, რომელიც მას ავალებს, რომ მოძალადე ნუგზარ ერისთავს ებრძოლოს. მოთხრობაში კარგად არის წარმოჩენილი ,თუ როგორი სამხედრო წინამძღოლია ხევისბერი, როგორ რაზმავს მოხევეებს, როგორ ორგანიზებას უკეთებს და ამზადებს მათ ომისთვის, გამორჩეულია მისი სიტყვები, რომელსაც ის წარმოთქვამს სამების ეკლესიაში, გოჩა სულიერი წინამძღოლია თავისი ხალხისა და მწერალი აღგვიწერს, რომ იგი ორი კვირით ადრე მიდის ეკლესიაში, რათა ლოცვითა და მარხვით განიწმინდოს, რომ ღირსი გახდეს მთავარი დროშის შეხებისა, მოხევეებს მრავალი დროშა აქვთ, მაგრამ ერთს განსაკუთრებით განარჩევენ, ეს არის უფლისგან დალოცვილი

„გერგეტულას დროშა“, რომელიც ბრძოლაში წინ მიუძღვით მოხევეებს და ნებისმიერი საქმის გარჩევისას ამ დროშის გამოჩენა იმას მიუთითებდა, რომ ყოველივე სამართლიანად აღესრულებოდა...

გოჩა შემდეგნაირად ამხნევებს მებრძოლებს: „ ნეტავი თქვენ, რომ ყმაწვილები ხართ, ჯანი და ღონე გერჩისთ. ნეტავი თქვენ, რომ იბრძოლებთ. ნეტავი იმას, ვინც ამგვარ საქმეში მოკვდების, სასუფევლის გზა გაკაფული აქვს“ (ს.ჩიქოვანი,1955;303)

ონისეს კი შემდეგ სიტყვებს ეუბნება: „წადი ონისე, დროა... ღმერთიმც იქნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების! მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე მოკვდი რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს, -არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო.. მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მთის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟვენთავ... ახლა თქვენ იცით რასაც იქთ..“(ს.ჩიქოვანი,1955;305)

სამწუხაროდ, გრძნობებს დამორჩილებული ონისე დაივიწყებს ცოტა ხნით თავის მოვალეობას, იგი შემთხვევით ძიძიასა და გუგუას კამათს შეესწრება, საიდანაც გაარკვევს, რომ ძიძიას ონისე უყვარს, გუგუა კი ეჭვიანობს მასზე და გაემართება ონისეს მოსაკლავად, ონისე კი დარჩება ძიძიასთან, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ თავი მოეკლა, ონისემ მას ხელი მოჰხვია და ორივე ცოტახანს თავდავიწყებას მიეცა, რა დროსაც გაისმა თოფის ხმა, ამ ხმაზე ონისე გონს მოდის და ხვდება, რომ მას მოვალეობა დავიწყებია, მაშინვე გაიქცევა იმ სადარაჯოზე, სადაც ევალებოდა ყოფნა, რადგან მტრის გამოჩენაზე მოძმე გაეფრთხილებინა, მაგრამ მტერმა ყურადღების მოდუნებით ისარგებლა და ჩაძინებული ვაჟაცები უომრად ჩახოცა. ონისემ ეს უკიდურესად განიცადა, მიხვდა თავის უპატიებელ დანაშაულს, ის ცდილობს თავისი დანაშაულის გამოსყიდვას, ბრძოლობს, მაგრამ ის უკვე დახოცილ მოხევეებს ვეღარ გააცოცხლებდა და ეს აზრი მას გულს უკლავდა..

მწერალი გვიხატავს ორ მებრძოლ მხარეს, თავისუფლებისთვის გულანთებულ მოხევეებს და ნუგზარის ამბიციებს აყოლილ ოსებსა და ლეკებს. სწორედ სამშობლოსა და თავისი ხევის სიყვარული აძლევდა მოხევეებს და ხევისბერს სტიმულს არ დანებებოდნენ მტერს და თავისუფლებისათვის გულანთებულები ბრძოლობდნენ, მოხევეები ერთხმად ამბობდნენ: „ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი.. გავწყდეთ ხალხო და სხვა ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!“. ამ შემართებამ ბრძოლის ბოლოს მათ გამარჯვება მოუტანა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბრძოლის შემდეგ გამართული სასამართლო, დიდი ძალისხმევის შემდეგ ხევისბერმა, მოხევეებთან ერთად შეძლო ნუგზარ ერისთავის ჯარის დამარცხება და იგი შერცხვენილი გაიქცევა...

ბრძოლის შემდეგ გაიმართა სასამართლო, რათა გაერკვიათ თუ ვისი მიზეზით შემოიპარა მტერი და ვინ უღალატა თემს. აქვე ჩანს, რომ მათ ერთი მხრივ, ოსები ჰყავთ გასასამართლებელი, მეორე მხრივ კი - გუგუა; ოსების გასამართლებისას გოჩამ გამოიჩინა სიმტკიცე, ის მოეთათბირა თემის სხვა უხუცესებს და განაჩენად მათი ჩაქოლვა გამოიტანეს, ჩაქოლვის ეპიზოდი მწერალს შთამბეჭდავად აქვს დახატული, მკითხველი გრძნობს და ხდება, რომ ეს იყო სამართლიანი გადაწყვეტილება გოჩასი, მაგრამ როდესაც იწყებს გუგუას გასამართლებას აქ ვითარება იცვლება და იძაბება, გოჩას უჭირს რომ დაიჯეროს მისი სოფლის მკვიდრი, მის ხელში აღზრდილი ადამიანი, როგორ შეიძლება იქცეს მოღალატედ. გუგუა ამბობს, რომ დამნაშავე არ არის, თუმცა არც თავს იმართლებს, არც ძიძიასა და ონისეს ახსენებს, მაშინ გოჩა ეუბნება: თემი შენზე და ჩემზე მაღალია, ამიტომ შენ სიმართლე უნდა თქვა! თუმცა გუგუა მაინც უარზე იყო.. გოჩამ თემის უხუცესებთან თათბირის შემდეგ გამოუტანა განაჩენი, რომ გუგუა მოეკვეთათ თემისგან, მან დაიწყო მისი თემისგან მოკვეთის რიტუალი, დაწყევლა და სანამ წყევლას გაათავებდა, ონისემ მამას შეაწყვეტინა რიტუალი, ამ დროს გოჩა იყო ღვთის ნების აღმსრულებელი, ხელში საუფლო დროშა ეჭირა და არ შეიძლებოდა მისთვის რამენაირი მიზეზით სიტყვა გაეწყვეტინებინა, ონისემ სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა, რომ გუგუა დამნაშავე არ იყო და

აღიარა თავისი დანაშაული. ეს იყო თავზარდამცემი მამისთვის. აქ ყველაზე მეტად გამოჩნდა ხევისბერი გოჩას ეროვნული სახე, რომ ის ყველაზე და ყველაფერზე წინ აყენებდა სამშობლოსა და ერის წინაშე მოვალეობას, ხევის უხუცესებმა დაიცვეს ონისე, რადგან მათ იფიქრეს რომ ონისე არ იყო ამ შემთხვევაში მოღალატე, მას მხოლოდ წუთიერმა თავდავიწყებამ სძლია, რაც შეიძლებოდა ნებისმიერ მოკვდავს შემთხვეოდა, მაგრამ გოჩას ამის მოსმენაც არ უნდოდა და ამბობდა, რომ ამ დახოცილების სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, რომ ამ სამართლის აღსრულება ღმერთმა სწორედ მას მიანდო, ამიტომ მან არ მოუსმინა არავის, ამობობს რომ ონისე არის მოღალატე და რომ იგი ახლავე მკვდარია! ვიდრე განაჩენს გამოუტანს, მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა...

ხევში სულიერი სიკვდილი უფრო შემაძრწუნებელი იყო ვიდრე ხორციელი, ამიტომაც მოხევეები ხორციელ სიკვდილს ამჯობინებდნენ, სულიერ წარწყმენდას..

„- უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად.. და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ... მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისაკენ და შესძახა: - მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!“ ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალი და მამამ შვილს გული ორად გაუპო... მაგრამ როგორც კი აღასრულა თავისი წმინდათა წმინდა მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე, ის ჩვეულებრივი მოკვდავი გახდა, თავზარდამცემად განიცადა ყოველივე ეს და ამის შემდეგ ის ჭკუიდან შეიშალა. ნაწარმოების ბოლოს მწერალი წერს, რომ იგი სამტვეროს ტყეში გაიხიზნა და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა თუ სად იყო მისი შვილი, რატომ არ მოდიოდა მასთან. ალექსანდრე ყაზბეგმა გვიჩვენა, თუ რამდენად არაადამიანური ტვირთი იტვირთა ხევისბერმა გოჩამ, როდესაც ამგვარი სამართალი აღასრულა... იტვირთა, შეასრულა, თუმცა როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა ასეთი ტრაგედია ვერ გადაიტანა, ამგვარად გვიხატავს ყაზბეგი ხევისბერს. რომლის გულშიც გაიმართა დიდი ჭიდილი, მამაშვილურ გრძნობასა და მოვალეობას შორის, სადაც კონკრეტულად ამ პერსონაჟმა სამაგალითოდ აღასრულა სამშობლოსა და ერის წინაშე არსებული მოვალეობა.

ლადო მინაშვილი წერდა: „ალექსანდრე ყაზბეგმა „ხევისბერ გოჩაში „ კიდევ უფრო მძლავრად, აქამდის ჩვენი ლიტერატურისათვის სრულიად უჩვეულო მხატვრული ძალით გვიჩვენა ცოცხალი გრძნობების სირთულე, წინააღმდეგობრივი ბუნება. მწერალი არ ამარტივებს ცხოვრების სირთულეს, ცოცხალი გრძნობები გრძნობათა სქემებზე არ დაჰყავს; მან თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა მძიმე ტვირთია, იყო ადამიანი, ატარო ადამიანური ტკივილები, ებრძოლო შენსავე გრძნობებს, მოერიო, დასძლიო შენსავე გულში ამოვარდნილი ქარიშხალი.

უაღრესად ადამიანური და გასაგები რამ დაემართა ხევისბერ გოჩას. საკითხავია, ვინმე სხვა რომ მდგარიყო ონისეს ადგილას და არა საკუთარი შვილი, იქნებოდა თუ არა ხევისბერის განაჩენი ასეთივე მკაცრი? სრულიად დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ არა, არ იქნებოდა. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ გუგუას, რომელსაც ნამდვილად ედებოდა ბრალი ხევის ღალატში, რომელმაც თავი ვერაფრით ვერ იმართლა, ხევისბერმა სასჯელად მხოლოდ და მხოლოდ მოკვეთა გამოუტანა და არა სიკვდილი. თანაც ამ განაჩენის გამოტანისას არ იყო მშვიდი, ერთგვარ სინანულს გრძნობდა.

მწერალმა გვაგრძნობინა, რომ ადამიანი მახლობლის საქციელს, მის დანაშაულს უფრო მწვავედ განიცდის, აქ ერთად არის მოცემული დიდი სიყვარულიც და დიდი აღშფოთებაც, რამეთუ შეილახა წმინდათა წმინდა, ღირსება გვარისა, სახელისა...(ქართველი მწერლები სკოლაში. I ნაწილი. გვ201-202)

მკვლევარი გურამ ასათიანი მოთხრობაში პირობითად მოქმედების ორ ხაზს გამოარჩევდა - გარეგანსა და შინაგანს, „საზოგადოსა“ და „პირადს“. და თუ პირველ შემთხვევაში ყველაფერი შედარებით უბრალოდ წყდება და ავტორის პასუხიც სავსებით ნათელია, რადგანაც „მოზღვავებულ უბედურებად“ წარმოგვიდგება დამპყრობელი, მოხევეთათვის კი დამორჩილება და თავისუფლების დაკარგვასთან შეგუება სიკვდილზე უარესია. ამიტომაც კვლავ მეორდებოდა ალექსანდრე ყაზბეგის რწმენის ურყევი სიმბოლო: ძალა - ბრძოლა! მაგრამ მეორე ხაზი ბევრად უფრო რთული რომ მოჩანდა? გურამ ასათიანი სწორედ ასე აღიქვამდა და ამ სირთულეს „გაორებად“ მოიხსენიებდა.

„მოზღვავებული უბედურება“ ამჯერად ონისეს „უკანონო“ სიყვარულია, ბოროტი და დამღუპველი ცოდვა, და ონისეს საბედისწერო ცოდვაც ისაა, რომ საკმაოდ ვერ შეებრძოლა თავის „უკანონო“ გრძნობას ძიძიასადმი, ვერ დათრგუნა და თვითონვე დამორჩილდა მას. თითქოს აქაც ყველაფერი უბრალოდ წყდება და ავტორის პასუხი სავსებით ნათელია. ასე რომ იყოს, იმ პასაჟებში, სადაც ონისესა და ძიძიას შეხვედრებია აღწერილი, შესამჩნევი იქნებოდა, თუნდ სულ მკრთალად, მაგრამ მაინც, უარყოფის ან განკითხვის ინტონაცია. არადა, „პირიქით, ეს არის ამ მოთხრობის ყველაზე ამაღლებული და პოეტური სტრიქონები, რომლებიც ავტორს დაუფარავი აღტაცებით უწერია“, თუკი ასეა, მაშ „ხევისბერ გოჩაში“ ორი სიმართლეც შეიძლება გამოიკვთოს: ხევისბერისა („ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“, როგორც ფორმულა ცხოვრების სიბრძნისა, დიდი და გარდუვალი ჭეშმარიტებისა) და ონისეს (ვინც თავის გულთან წრფელია, და თუ მას რაიმე იპყრობს და იტაცებს, მხოლოდ ბუნებისმიერი და ძლევამოსილი ძალა) სიმართლე.

მკვლევარი მათ ტოლფას მოვლენებადაც მიიჩნევს და ცდილობს ონისეს სიმართლის კიდევ უფრო დანაწევრებასაც... სიყვარული, როგორც არსებობისა და სამყაროს საყრდენი, ასე ისწრაფვის ალექსანდრე ყაზბეგთან ძლევამოსილებისა და სრული გაბატონებისათვის...

„პროსპერ მერიმეს სახელსაც ყაზბეგის ბელეტრისტიკის ღირსებათა წარმოჩენისათვის მოიშველიებდნენ, მის ნოველას „მატეო ფალკონე“, და მასთან ერთად ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბას“, რათა გარკვეული თვალთახედვით შეეთანასწორებინათ „ხევისბერი გოჩასა“ და აკაკი წერეთლის „გამზრდელისათვის“.

აკაკი ბაქრაძე ამ თხზულებებს რომ დაუკვირდებოდა, იმ სამს (მერიმე, გოგოლი, ყაზბეგი) ცალკე დაალაგებდა, „გამზრდელს“ - ცალკე, იმის ნათელსაყოფად, რომ აკაკი წერეთლის პერსონაჟის ზნეობრივი პრიბციპი გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ამ მწერალთა პერსონაჟების - შურისგებით დანაშაული არ გამოისყიდებოდა, ეგაა, დანაშაულის ერთი სახეობა მეორეთი შეიცვლებოდა.

ამიტომაც ჰაჯი-უსუბი შემცოდე საფარ-ბეგს კი არ მოჰკლავდა, არამედ თვითმკვლელობას ამჯობინებდა - გაზრდილის დანაშაულს თვითონ იტვირთებდა, და ეს ისევე, როგორც იესო ქრისტემ იტვირთა კაცობრიობის ცოდვები. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი აღარ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ სიკვდილშიაც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა გაზრდილს, ვიდრე ალბათ ცხოვრებით. დატენილი დამბაჩის ტყვია საფარ-ბეგის მკერდს კი არა, მოძღვრის საფეთქელს რომ გახვრეტდა,ამით წარსული (ჰაჯი-უსუბი) მომავალს (საფარბეგი) პატიოსანი არსებობის უკვდავ გაკვეთილს სთავაზობდა. მატეო ფალკონეც, ტარას ბულბაც და ხევისბერი გოჩაც შვილებს გაიმეტებდნენ მოსაკლავად და ამით მიუწვდომელი დარჩებოდა მათთვის ის საფეხური, სადამდეც აკაკი წერეთლის გმირს აეღწია, შვილების დახოცვა მამების მიერ არსებობის მარადისობას რომ არღვევდა?.. რა ახსნაც უნდა მოძებნილიყო, ამგვარი საქციელი დროთა კავშირს წყვეტდა და ანტიბუნებრივ მოვლენად გვევლინებოდა, იმ პათოლოგიად, რომლის მიგნება და ღრმა ანალიტიკური განსჯაც ევალებოდა მწერლობას. ისე ღირსნი კი იყვნენ პერსონაჟები ასეთი მკაცრი სასჯელისა, თანაც ვისგან - საკუთარი მამებისგან? ფორტუნატო ბავშვობით, უნებლიეთ გასცემდა ყაჩაღს და პოლიციას ჩაუგდებდა ხელში („მატეო ფალკონე“); ანდრი უცხოტომელ ქალს შეიყვარებდა და მტრის მხარეს რომ გადავიდოდა, თავისიანების წინააღმდეგ აღმართავდა მახვილს („ტარას ბულბა“); თავდავიწყებაში გადავარდნილ ონისეს, გუშაგის მოვალეობა რომ ამოუვარდებოდა გონებიდან , მტერი შემოეპარებოდა და კინაღამ საბედისწერო გახდებოდა ეს შემთხვევა ომის ბედისათვის („ხევისბერი გოჩა“). თემი ონისეს იმიტომაც გამოექომაგებოდა, მის მოქმედებაში შეგნებულ ღალატს ვერ დაინახავდა, მითუმეტეს, გმირი ცოდვას რომ გაიცნობიერებდა, მტერს კინაღამ თავს შეაკლავდა. მას ერთი წუთითაც არ უფიქრია თავისიანების გამეტება ანდრისავით, ვისაც სასჯელი უეჭველად ემუქრება კაზაკთაგან, მაგრამ არა მამისგან, ვინც მსაჯულის უფლებას იმიტომ მიიტაცებს, სწორედ შვილზე რომ იძიოს შური. ფორტუნატოს ასაკის ბავშვს კი, აბა, რა მოეთხოვებოდა. მამების მოქმედება სამივე მოთხრობაში ერთნაირია, და თუ ჰაჯი-უსუბის

ზნეობრივი სიმაღლე ხევისბერი გოჩასთვისაც მიუწვდომელი რჩება, მკვლევარისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის საგულისხმო ნიუანსი, რომ ალექსანდრე ყაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ შვილის მკვლელობის სურათს, ვიდრე მერიმე და გოგოლი. - უფრო დამაჯერებლად რატომ? - ჯერ ერთი, ყაზბეგის გმირი აფექტისას ჰკლავს შვილს, ანუ მისი საქციელი არაცნობიერია, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს ქმედება კი სავსებით ცნობიერი - ისინი სასჯელს წინასწარმოფიქრებულად აღასრულებენ. და მეორეც, როგორც კი ხევისბერი გააცნობიერებს, რაც ჩაიდინა, იგი გაგიჟდება. ჩადენილი აქტის სიველურე თავზარდამცემია და ადამიანის გონებამ მას ვერ უნდა გაუძლოს: „თუ ზნეობრიობის თვალსაზრისით შევხედავთ ალ. ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა). მაგრამ ხევისბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ელდის დაცემით. მან გონება დაკარგა, თავიდანვე შეიქმნა თავისივე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძნობის მისხალიც არ აღმოჩნდა“. ხევისბერი გოჩა უფრო რთული ხასიათია, და მერიმესა და გოგოლის მარტივი ბუნების გმირების არსებაში ამიტომაც არ ტოკავს ის განცდა, რამაც ყაზბეგის გმირის სულში ქარიშხალი უნდა დაატრიალოს და გამვლელ-გამომვლელისთვის გულის გადაშლას რომ ლამობს, მხოლოდ იქამდე უამბობს ყოველივეს დალაგებულად, ვიდრე ის საბედისწერო წუთი დადგებოდეს... ხანჯალი რომ შემართა...“. ვკითხულობთ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ყაზბეგიანა“ (რ. ჩხეიძე,2005;270-272).

მოკლედ, ასე თუ ისე, მწერალმა ონისესა და გოჩას მოქმედებებით გვაჩვენა რომ ადამიანი სუსტი არსებაა, მას ხშირშემთხვევაში ეშმაკეული ემოციები მართავს, ონისეს ძიძიასადმი ლტოლვას ის „ეშმაკეულს“ უწოდებს, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა ონისემ ძიძიას სიყვარულზე უარი ვერ თქვა, რამაც გამოიწვია თემის უნებლიე ღალატი, გოჩამ კი მიუხედავად იმისა, რომ აღასრულა თავისი როგორც წინამძღოლისა და მშობლის

მოვალეობა, ამ ერთი შეხედვით ძლიერმა, უდრეკმა ადამიანმაც კი ვერ აჯობა საკუთარ თავსა და ადამიანურ განცდებს, რამაც საბოლოოდ ფსიქიურ აშლილობამდე მიიყვანა.

„ხევისბერი გოჩა“ თავისი მსოფლმხედველობითა და მხატვრული ოსტატობით მწერლის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს, მხოლოდ ეს რომ დაეწერა ყაზბეგს და სხვა არაფერი, მხოლოდ ამიტომ ღირდა ავტორის ამქვეყნად მოვლინება...

ამრიგად, ალ. ყაზბეგმა ხევისბერი გოჩას სახით, დაგვიხატა ეროვნული გმირის იდეალური სახე, რომელმაც თავისი სამშობლოს ინტერესების დაცვისათვის, უსამართლოდ, ყურადღების მოდუნების საბაბით დაღუპული თანამემამულეთა წინაშე ერთი წამითაც კი არ დაფიქრდა ისე მიიტანა სამსხვერპლოზე თავისი უსაყვარლესი შვილი და საკუთარი სიცოცხლეც; განა აქვს ფასი ონისეს განგმირვის შემდეგ მის სიცოცხზლეს აზრი? მან წამის მეათასედი ნაწილიც კი არ მოანდომა ამ საკითხზე ფიქრს. აქ მისთვის, სავსებით სამართლიანად, ალტერნატივა არ არსებობდა. არ დაგვავიწყდეს საქმე ეხება სამშობლოს და ასობით დაღუპულ თანამემამულეს. აქ ჩვენი აზრით, ყოველგვარი დისკუსია ზედმეტია. დიახ, ხევისბერი ერთი იმ ნიმუშთაგანია, ვის მაგალითიც უნდა იყოს თითოეული მოხევისათვის, ქართველისათვის მწარე გაკვეთი.

თავი III

ეროვნული გმირის მხატვრული სახე „ელგუჯას“ მიხედვით

ნაწარმოები დაიბეჭდა:1881 წელს. გაზეთ „დროებაში“. როდესაც ალექსანდრე ყაზბეგი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, მძიმე პერიოდი

იყო რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთათვის, ამ დროს რუსეთში მეტად დაიძაბა საშინაო მდგომარეობა.

1880 წლის 5 თებერვალს ზამთრის სასახლის აფეთქების ცდას და 1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობას ცარიზმმა უსაშინლესი რეპრესიებითა და სახრჩობელებით უპასუხა. რეპრესიების სულისჩამდგმელებმა უმკაცრესი ტერორის წესები შემოიღეს. აღნიშნული რეაქცია შეეხო ლიტერატურასაც.

ეს პოლიტიკური რეჟიმი საქართველოშიც მძვინვარებდა, პრესა და ლიტერატურა ტერორის ქვეშ იყო, ცენზურა ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი არსებულ წყობას აკრიტიკებდა.

ასეთ პირობებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟკაცურად აიმაღლა ხმა სოციალური უსამართლობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მან რეჟიმს კეთილშობილ ადამიანთა თავისუფლებისმოყვარე ოცნება და თავგანწირული ბრძოლა დაუპირისპირა. აღნიშნული რეჟიმის პირობებში ეს უდიდესი სიმამაცე და გამბედაობა იყო.

„შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებასო“, - ამბობდა გრიგოლ ორბელიანი. სწორედ იგი მიესალმა აღტაცებით ალექსანდრე ყაზბეგის მწერლობას, აღრფრთოვანებული დარჩა „მამის მკვლელით“, „ელგუჯათი“ და სხვა მოთხრობებით და ჰომეროსს შეადარა ყაზბეგი. ცალკე წიგნად გამოცემული „ელგუჯა“ ცენზურამ აკრძალა და გაანადგურა. რა იყო ამის მიზეზი?

რა თქმა უნდა, მწერლის ანტირუსული პათოსი. ყაზბეგი დაუფარავად, მოურიდებლად ხატავდა რუსთა სისასტიკეს, მათ მიერ ქართველი კაცის ღირსებისა და მეობის გათელვას. ქართველნი კი ყოველის ღონისძიებით ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავდა“.(ქართველი მწერლები სკოლაში. ნაწილი მე-2.გვ177-178)

„თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ყაზბეგი, საზოგადოდ, არსად და არასდროს არ აიგივებს მეფის რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიულ აპარატს რუს ხალხთან.

მართალია იგი დაუნდობლად ამათრახებს რუს ჩინოვნიკებს - მათ უგულობას, სისასტიკეს, დესპოტურ გონებაშეზღუდულობას, მაგრამ, ცხადია, მას ისინი არ მიაჩნია რუსი ხალხის წარმომადგენლებად. საგულისხმოა, რომ შემდეგ იგი ასევე უარყოფითად და ბევრად უფრო მწვავე სიძულვილით დაგვიხატავს ქართველი ჩინოვნიკის სახეს. საინტერესოა ასევე ყაზბეგის დამოკიდებულება რუსი ჯარისკაცების მიმართ, რომელნიც ხშირად გვხვდებიან მის ნაწარმოებებში. ერთი მხრივ რუსი ჯარისკაცები მისთვის წარმოადგენენ მეფის თვითმპყრობელობის ბრმა იარაღს, რომელსაც ეყრდნობა კოლონიური პოლიტიკის განსახორციელებლად. ალ. ყაზბეგი არ ფარავს, რომ ყაზარმულ ჩვევებს თავისი ღრმა დაღი დაუმჩნევია მათ შეგნებაზე . მაგრამ მხოლოდ ამაში როდი ჩანს ყაზბეგის გამჭრიახობა. საოცარია ის, რომ ყოველივე ამასთან ერთად ალ. ყაზბეგი რუს ჯარისკაცებში ხედავს მშრომელი ხალხის წარმომადგენლებსაც, რომელნიც თავისი ნებით არ მოსულან უცხო მხარეში და თავისებური, ამ შემთხვევაში მართლაც საკვირველი, თანაგრძნობით და გულისტკივილით მოგვითხრობს მათ შესახებ. მწერალი მოთხრობა „ელგუჯაში“ შემდეგნაირად აღწერს რუსი ჯარისკაცების განცდებსა და განწყობილებას ერთ-ერთი ბრძოლის წინ:

„იმათ შენიშნეს, რომ გზას აქეთ-იქით ატეხილი ხშირი უდაბნო ტყე ჰქონდა, ეს კი მტერს ყოველსგვარს შემწეობას აღმოუჩენდა და მათგან შეუმჩნევლად ამოქმედებდა. ყველას მოაგონდა თავისი სახლ-კარი, მიწა-წყალი, ცოლ-შვილი და ოდესმე მოძულებულს, გაყინულს სამშობლოს ეხლა ნათელი შუქი დასდგომოდა, ნეტარებით იხსენებდნენ მათ. აგონდებოდათ თავთავიანთი გულის სატრფო, რომელნიც შორს ქვეყანაში უპატრონოდ, ვინ იცის, ვის სათამაშოდ, გასახარებლად დარჩენოდათ!.. ძალიან სწუხდნენ, რომ იმათზე ამ სამოთხის მსგავს ადგილებსაც კი მოქმედება აღარ ჰქონდა, რადგან, ვინ იცის, ბედი ვის რას შეახვედრებდა, ვის რა რიგად გაუღიმებდა.

რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება და რისთვის გადმოხვეწილიყვნენ ამ ადგილებში, თვითონაც არ იცოდნენ. მოდიოდნენ და თავიანთი მოქმედებისათვის ანგარიში ვერ მიეცათ“.

ამ სტრიქონებში ჩვენ გარკვევით ვგრძნობთ იმ მაღალ ჰუმანიზმს, რომელიც მხოლოდ დიდი დემოკრატისთვის იყო შესაძლებელი“(ლიტ. ისტორია,1974;357-358).

ნაწარმოებში სიმონ ჩოფიკაშვილს როდესაც ატყობინებენ: - რუსი ჯარისკაცები უფროსის დაუდევრობით ჩახოცეს მთიულებმა და გენერალი დასახმარებლად გიხმობთო, მწერალმა სიმონს ასეთი სიტყვები ათქმევინა:

„ღმერთო!.. რა კაცებს აბარებენ ხალხის ბედსა და ქვეყნის მართვას?!“ სადაც კიდევ ერთხელ ჩანს ავტორის ზემოთაღნიშნული პოზიცია, რუსი ხალხის მიმართ.

ამ კლასობრივი და ნაციონალური უუფლებობის, დამცირებისა და შეურცხყოფის მძაფრი სურათები ასახა ალექსნდრე ყაზბეგმა თავის „ელგუჯაში“, „მამის მკვლელსა“ და სხვა მოთხრობებში....

„ალექსანდრე ყაზბეგის სიუჟეტები, თითქმის უკლებლივ, ქალ-ვაჟის ურთიერთობაზე, მათ ტრაგიკულ სიყვარულზეა აგებული. სიყვარულის ისტორია, დაბრკოლებები რომლებიც გმირების ურთიერთობას, ერთმანეთისკენ მათ სწრაფვას ეღობება წინ, ამბის ტრაგიკული ფინალის მიზეზები, რომლებიც ყოველ თხზულებაში მკაფიოდ იკვეთება, მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის გმირების გარემოსა და ამ გარემოსთვის ნიშანდობლივ პრობლემებზე. თუმცა მთავარი ლაიტმოტივი მწერლის შემოქმედებისა ეროვნულ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული თემატიკაა“ (ლ.სულხანიშვილი, 2002).

ყაზბეგმა „ხევისბერ გოჩა“-ში თუ ლტოლვას, ვნებასა და სიყვარულს წუთიერად დამორჩილებული, გულის წადილს აყოლილი ონისე დაგვიხატა და ამაზე ააგო მთელი ნაწარმოების სიუჟეტი, „ელგუჯაში“ გულს, გონება დაურთო და სულ სხვაგვარად აამეტყველა ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ელგუჯა, მაშინ როცა იგი სალაშქროდ მიყვებოდა გაგის, მისი ჭკუა და ფიქრი მზაღოსთან იყო და ერთხანს მიზეზსაც კი ეძებდა რომ სახლში დაბრუნებულიყო მასთან, როდესაც მისი მეგობრები მტერთან აპირებდნენ შებმას, თუმცა მალე გონს მოეგო და ასეთ სიტყვებს ამბობს იგი:

„კაცი ვარ, ქუდი მხურავს, წავალ, ვაჟკაცობას გამოვიჩენ, ვისახელებ თავსა და სამსახურს გავუწევ თემობასა. როცა შინ მშვიდობით დავბრუნდებით, მაშინ ვითხოვ გაგისაგან იმ ქალსა და ისიც მომცემს“ (ს.ჩიქოვანი,1955;18)

ელგუჯას ძალიან უყვარს მზაღო და შვილები, მაგრამ მისთვის პირველ ადგილზე მთელი ნაწარმოების განმავლობაში, ყოველთვის სამშობლო, ის საერთო საქმე იდგა, რომლისთვისაც თავი გადაედოთ მოხევეებს, თავისუფლების დასაცავად...

თუმცა მათიას სახით მაინც დაგვიხატა ონისეს მსგავსი პერსონაჟი ნაწარმოებში, მწერალი თვითონვე ტკბება თავისი დახატული ჭაბუკის მშვენიერებით, მას გარეგნობაზე მეტად სული აქვს ლამაზი. რომელიც სიყვარულის გამო, ბრძოლის დიდ ასპარეზად ექცა, მას ერთი მხრივ მტერთან უხდება ბრძოლა, მეორე მხრივ კი საკუთარ თავთან, პირველ შემთხვევაში არაფერი უჭირს, მამულის დაცვას მტრისაგან არ გაურბის, პირნათლად ასრულებს ამ მოვალეობას, უკან არ იხევს, სიკვდილს არ ერიდება, (დათვთან შებრძოლებისას იგი კიდეც ნატრობს სიკვდილს), მაგრამ ამასაც ონისეს მსგავსად საკუთარი გულისთვის ვერაფერი მოუხერხებია, საბოლოოდ ის მზაღოსთან მარტო დარჩა და ცდუნებას ვერ გაუძლო, ვნებისაგან გონება დაკარგულს არ ესმოდა რას აკეთებდა და ვინ იცის რა მოხდებოდა, რომ რუსი ყაზახები არ მოსულიყვნენ ელგუჯას შესაპყრობად, მათ მათია ეგონათ ელგუჯა, მან ყაზახებს ვაჟკაცურად შეეწინააღმდეგა და შეაკლა თავი.

„ყაზბეგს არ გამოპარვია არც სხვაგვარი მოვლენა, რომელსაც საერთო სიყვარულთან არა აქვს რა, და რომელიც მარტო და მხოლოდ არანორმალური გრძნობაა, რომელიც ბოროტმოქმედებას ჩაადენინებს ერთ წყვილს და მეორეზე ძალას ახმარებინებს. ამ ფიზიოლოგიური ბოროტმოქმედების გვარია ის ძალმომრეობითი დაკმაყოფილება ხორციელი გრძნობისა, რომელსაც ნაჩალნიკი ასრულებს მზაღოს მიმართ. აქ ნამდვილი ბრძოლა გააჩაღა „კულტურის მოციქულმა“ და, რასაკვირველია სძლია, ისიც ბევრის ვაების შემდეგ, საბრალო ქალს... თუმცა ყაზბეგის გმირები ამას ბევრად უფრო ადამიანურად ეკიდებიან, ვიდრე განათლებული ევროპიელი. მზაღოს გაუპატიურებას ელგუჯასთვის ერთი ბეწოთიც არ შეუმცირებია მისგან გაღმერთებული

სატრფოს სიყვარული და პატივისცემა იმიტომ, რომ მიჯნური შეყვარებული მთიელი სრულიადაც არ უყურებს თავის გრძნობის საგანს, ვითა ავეჯს, ან თეთრეულს, რომლის გაბინძურება და დასახიჩრება შეუძლიან ყოველნაირ ტალახს. მათთვის სატრფო წმინდათა-წმინდაა, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი დააბერებს“. თუ კი მისი გული და მისი გრძნობა შეუცვლელად მტკიცეა, მას ვერაფერი შელახავს“. (კიტა აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. გვ.405-406) კიტა აბაშიძისეული მსჯელობა ცხადყოფს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა აღნიშნულ ვითარებაში, უბრალო ადამიანების დაცვას აღნიშნული დამცირებისა და შეურაცხყოფისაგან. ამგვარი მისია კარგად გაუცნობიერებიათ ისეთ გმირებს როგორებიც არიან ელგუჯა, მათია, მარტია, იაგო და სხვები. მართალია ისინი არ წარმოადგენენ ეროვნული ლიდერის სახეებს მაგრამ, თავიანთი შესაძლებლობების მასშტაბებით, საკუთარი სიცოცხლის საკუთარი ნებით სამსხვერპლოზე მიტანის უნარით არანაკლებ ღირებულ მაგალითებს აძლევენ შთამომავლობას.

მწერალი ამ ნაწარმოებში თემსა და ხალხს, ისეთივე სიმაღლეზე წარმოგვიჩენს, როგორც ამას „ხევისბერ გოჩაში“ ახერხებს. რომლის გაუტეხელი ძალა, სიბრძნე და კეთილშობილება საოცარი ექსპრესიით არის გადმოცემული.

მოხევეები ოდითგანვე დარაჯობდნენ დარიალს, არც მე-19 საუკუნის დასაწყისში უღალატიათ ამ ჩვეულებისათვის, მაგრამ სხვა დრო დაუდგათ. „ელგუჯაში“ აღწერილი ამბებიც ამ დროისა იყო, დრო არეულობისა და ბრძოლისა, რუსეთთან მფარველობის ქვეშ შესვლის მსურველთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

მოხევე ლელთ ღუნიას სიტყვები, მგზავრს რომ უმხელს (მგზავრის წერილები) ელგუჯაშიც გვხდება. „ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკეთ“. ის ადრინდელი დრო აღარ იყო და ამას ვერ შეგუებოდნენ მთიელები, რომელთათვისაც თავისუფლება უმაღლესი ჯილდო იყო.

უპასუხო კითხვას ვინ ხარ - ნიშნავს, მოჰყვე შენს ისტორიას, ამ ლოგიკის გასამყარებლად, ჩვენც თვალი გადავავლოთ საკვლევი თემის კონკრეტულ ისტორიულ

მოვლენებს, რათა შევძლოთ ობიექტური ანალიზი ნაწარმოებისა და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

„მოთხრობაში იხატება მთიულეთ-გუდამაყრელების „არეულობა“. მათ რუსები ემწყვდიათ მთიულეთის ჭალებში და გაგის საჩქაროდ იბარებდნენ, როგორც ხევის ხალხის ერთს მოთავეს. იქ მთიულები შეყრილიყვნენ **ალექსანდრე ბატონიშვილის** თაოსნობით, რათა წინაღდგომოდნენ რუსების მოძრაობას.

ალექსანდრე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით მოხდა მთიულეთის 1804 წლის აჯანყება. ალექსანდრე მთაში და მთელ საქართველოში თავისუფლების სიმბოლოდ იქცა, რადგან იგი ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო 1804 წლის აჯანყებისა.

ცალკეულ პიროვნებათა თუ კუთხეთა წინააღმდეგობას შედეგი არ მოჰქონდა. ყაზბეგი მოთხრობაში აღწერს, რომ „ამ დროს საქართველოში მოემატა კიდევ რუსის ჯარები, რომელთაც საჭირო სოფლები დაიჭირეს და იქამდინ გაამაგრეს, რომ ყოველივე მოძრაობა მთის ხალხისაგან თითქმის შეუძლებელი შეიქნა“.

მოთხრობაში ჩანს ხალხის შიში მომავლის წინაშე, რადგან ხედავდნენ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, სხვა ხალხისგან გაბატონებას გრძნობდნენ, შიშის საფუძველი მართლაც იყო, რადგან თვალნათლივ ხედავდნენ, როგორ იქცეოდნენ რუსი ჩინოვნიკები საქართველოში,როგორ იგდებდნენ აბუჩად ქართულ ადათ-წესებსა და ტრადიციებს.

რუსები არ იშურებდნენ ფულსა და ჩინებს მოღალატე ქართველთა გადასაბირებლად. ასეთი იყო გაგი ჩოფიკაშვილი, მედროვე ქართველი, რომელიც „ბრჭყვიალა პაგონებს“ ანაცვლებდა ქვეყნის ინტერესებს. სწორედ გაგიმ გამოიძახა რუსთა ჯარი დასახმარებლად, როდესაც ელგუჯას გაეკიდა.

ყაზბეგმა ნაწარმოებში აღწერილი ამბავი, თვით პერსონაჟებისგან შეკრიბა. მისი ოჯახი ამ მოვლენათა შუა გულში ტრიალებდა. სწორედ თავისი პაპა - გაბრიელ ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი) - უგულისხმია მოთხრობის ერთ-ერთი, მთავარი პერსონაჟის, სვიმონ ჩოფიკაშვილის პროტოტიპად.“(ქართველი მწერლები სკოლაში. მე-2 ნაწილი.გვ.195)

სვიმონ ჩოფიკაშვილის სახე რომ ზუსტად გადმოხატულია გაბრიელ ყაზბეგისაგან, ამას ნათელყოფს „ელგუჯას“ შემდეგი სტრიქონები: „საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდე, სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო მიღებული კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთის ხალხი და მთის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებდნენ - დარიელა. სვიმონ ჩოფიკაშვილი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში წარმოდგენილ ეროვნულ გმირთა შორის, ნამდვილი იდეალური სახეა პატრიოტი ქართველი წინამძღოლისა. ავტორის მიზანია სვიმონ ჩოფიკაშვილის ბრძნული აზროვნების ყველა ნიუანსი გახადოს საცნაური მკითხველისათვის, რათა იგი იყოს მაგალითი და ნიმუში, გონიერი მმართველისა, რომელიც დროის, ეპოქისა და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ადეკვატურად მოქმედებს. სვიმონ ჩოფიკშვილის მხატვრული სახე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სადღეისოდ. იგი არის ჩვენი მწერლის გონივრული რჩევის თვალხილული გამოხატულება; საყურადღებოა,ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ყაზბეგს არ გაუიდეალებია ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც აჯანყების ორგანიზებას ცდილობდა,არამედ მან წინა პლანზე წამოსწია სვიმონ ჩოფიკაშვილის სახე.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანასკნელ რჩევაზე, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, შეიტყო მეფის გადაწყვეტილი სურვილი და როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა, დამორჩილდა ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველთ.

რჩევის შემდეგ ისევ თავის მთებში დაბრუნდა და მეფის ბრძანებისამებრ თავის თავზე მიიღო ზრუნვა მომავალზე. აქ ყოველი ფაქტი გაბრიელ ყაზბეგის ცხოვრებიდანაა აღებული და, მაშასადამე, ეს სტრიქონები ეჭვმიუტანლად ადასტურებენ, რომ სვიმონის სახით მწერალი ხატავდა თავის პაპას“.

ისტორიული დოკუმენტები გაბრიელ ყაზბეგის შესახებ ამბობენ: გაბრიელი ერეკლეს ახლობელი კაცი იყო, რომელმაც არა მარტო იცოდა მეფის გადაწყვეტილება

საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, არამედ დაუღალავად მოქმედებდა კიდეც ამ შეერთების განსახორციელებლად და დასაჩქარებლად. შვიდასჯერ გაზომეს ბაგრატიონებმა და ერთხელ მოსჭრა ერეკლემ. ის დაარწმუნა ისტორიამ, რომ რუსეთთან შეერთება საქართველოსთვის აუცილებელი იყო იმ ეტაპზე.

ქართველი ხალხის გადარჩენის გზა ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. უამისოდ დაქანცულ და დაღლილ საქართველოს ეროვნული სიკვდილი, ფიზიკური განადგურება და ნაციონალური თვითარსებობის დაკარგვა ელოდა.

იმ ხანებში საქართველოს მთავარმართებელი, თავისი ჯარით ერევნის სახანოზე იყო სალაშქროდ წასული და, როგორც ალექსანდრე ფრონელი აღნიშნავს, ეს 1804 წლის მთიულეთის აჯანყება მისთვის და რუსეთის მხედრობისთვის სასიკვდილო განსაცდელს უდრიდა. აჯანყებულებმა საქართველოს სამხედრო გზა შეჰკრეს და ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან მტკიცე კავშირი დაამყარეს.

ირანმა კვლავ წამოუპოტინა საქართველოს თავისი უკვე მოუძლურებული მტაცებლური კლანჭი. თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც შაჰმა არეზის ახლო მდებარე პროვინციების გამგეობა ჩააბარა, მრავალი სოფელი აჩუქა და ციხეების აშენება მიანდო, ბარათს ბარათზე გზავნიდა საქართველოში და რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდა ქვეყანას. სპარსეთი უფსკრულისაკენ ეზიდებოდა საქართველოს, იმ ჯურღმულისაკენ, საიდანაც ბრძოლით, ტანჯვით, წამებით, შვილთა სისხლის ფასად ცდილობდა საქართველო თავი დაეღწია საუკუნეთა განმავლობაში.

ეს იყო გზა, რომელსაც ქართველი კაცი ისევ ქედმოხრილი უნდა წაეყვანა ისპაჰანის გზაზე, რათა იქიდან თვალებდათხრილი დაბრუნებულიყო, ეს იყო გზა, რომელსაც ულამაზესი ქართველი ქალები ირანის ჰარამხანებში უნდა დაეჭკნო, როგორც ეს საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა.

ამრიგად, გაბრიელზე უფრო ერთგული კაცი მთას არ ჰყავდა; როცა აჯაბყებულმა მთიულებმა, თუშ-ფშავ-ხევსურებმა და ოსებმა წაახდინეს მთელი სამხედრო გზა, ყველა ხიდი დაშალეს, მარტო სტეფანწმინდის ბატონი თავის ხელქვეითებით კვლავ ერთგული

დარჩა ერეკლეს ანდერძისა, რომლის წყალობითაც რუსეთის ბატალიონები გადმოვიდნენ საქართველოში. აჯანყებულები საშინლად გაბრაზდნენ სტეფანწმინდის ბატონზე. ემუქრებოდნენ - ცოლ-შვილს ამოგიწყვეტთ, სახლ-კარს დაგინგრევთ, თუ ჩვენი მხარი არ დაიჭირეო. ყაზბეგის ბატონი მაინც არ ნებდებოდა, ეს კი ძალიან აღშფოთებდათ აჯანყებულებს, რადგან მხოლოდ სამხედრო ძალით კი არა, გაბრიელ ყაზბეგი უდიდესი მორალური ავტორიტეტითაც სარგებლობდა ხევში.

ჩვენ არაფერი ვიცით გაბრიელ ყაზბეგის სულიერ სამყაროს შესახებ. მკითხველის წინაშე მარტო გარეგნული ფაქტებია, მაგრამ მისი მხატვრული სახე, შესრულებული ბრწყინვალე ბელეტრისტის ხელით; როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ ეს გახლავთ სახე სვიმონ ჩოფიკაშვილისა. და ის, რაც არ წერია მშრალ ოფიციალურ დოკუმენტებში - ბრწყინვალე მხატვრული ფერადებითაა გადმოცემული ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯაში“ (გ. ნატროშვილი,1955;10-22).

გურამ ასათიანი კი აღნიშნავს: - „ელგუჯას“ პერსონაჟთა ერთი ნაწილი რეალური პირებია, ხევში არსებობს გადმოცემა,რომ ვინმე ელგუჯა ფაშტელს მოუტაცნია ქალი ჩოფიკაშვილების ოჯახიდან, დადევნებიან და ნაღვარევში მოუკლავთ. ელგუჯას დაღუპვა ასახულია ხალხურ პოეზიაში, სვიმონ ჩოფიკაშვილი სვიმონ ყაზბეგია, რომელსაც ახალგაზრდობაში ერთი ირანელი ფალავანის გაწბილებით მოუხვეჭია სახელი“.(ქართველი მწერლები სკოლაში. გვ.207)

„ელგუჯა“ ქვეყნის თავისუფლებაზეა დაწერილი, თავისუფლება კი უსაზღვრო სიყვარულში ვლინდება, რომელსაც პერსონაჟები ამჟღავნებენ ერთმანეთისა თუ ქვეყნის მიმართ. საქართველოა მათი უპირველესი სალოცავი, ამიტომ მოქმედი გმირები მის სიყვარულსა და ერთგულებას ანაცვალებენ ყველაფერს. სამშობლო მათი უპირველესი მოვალეობაა და ამიტომაც ეწირებიან ასეთი გატაცებით.

„ერთხელ დაბადებული ერთხელ მოკვდების“. - მწერალი ამ სიტყვებს ელგუჯას ათქმევინებს და იგივეა მოხევეთა ცხოვრების პრინციპიც, ხევში სიკვდილის შიში დაძლეულია, მაგრამ არის უფრო დიდი შიში - სირცხვილისა და თავის მოჭრისა.

ნაწარმოებში ავტორმა დაგვიხატა ლამაზი, ამაყი ვაჟკაცები, ისინი მკითხველის წინაშე ცოცხლდებიან: ელგუჯა, მათია, მარტია, გიორგი... სიცოცხლესა და თავისუფლებაზე შეყვარებული ვაჟკაცები. ყოველი მათგანი იდეალური სახეა ეროვნული გმირისა; მათთვის უზენაესი ღირებულება სამშობლოს თავისუფლებაა. ისინი მზად არიან თავიანთი სიცოცხლე უყოყმანოდ ანაცვალონ მას.

ნაწარმოები იწყება ავტორისეული შესავლით, რომელიც სიუჟეტს არ უკავშირდება მაგრამ, ნათლად გადმოგვცემს მწერლის სოციალურ შეხედულებას, ნათელს ჰფენს ყაზბეგის დამოკიდებულებას საგლეხო რეფორმისადმი. მისი შეფასება ემთხვევა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ქართველი დემოკრატების აზრებს...

მიუხედავად შესავლისა, „ელგუჯაში“ მოქმედება ხდება ბატონყმობის გადავარდნამდე. ავტორის სიტყვით: „ეს იყო დროება, როდესაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა“.

ალექსანდრე ყაზბეგმა შეძლო თავისი გმირების პირადი ბედ-იღბალი, მათი ცხოვრების ამბავი ერის ცხოვრებასა და ბრძოლასთან ბუნებრივ ერთიანობაში გადმოეცა. მან მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ყველაზე ფართოდ და მკაფიოდ ასახა ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

არსებობს აზრი რომელსაც სრულიად ვიზიარებ, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა „ელგუჯაში“ თავისი შეხედულებებისა და ზრახვების მატარებლად, სვიმონ ჩოფიკაშვილის სახე გამოიყვანა. იგი გულწრფელი და ღრმა პატრიოტია თავისი ქვეყნისა. საქართველოს ბედი, თავისუფლება, ავი და კარგი მისი განუწყვეტელი ფიქრის საგანს შეადგენს. სვიმონის პატრიოტიზმიც ძველი ყალიბისაა, გამობრძმედილი და უტყუარი. საქართველოს თავისუფლება და სიძლიერე, მისი უპირველესი ოცნებაა, მისთვის საქართველოს სამსახური უწმინდესი მოვალეობაა.

სიუჟეტის მიხედვით გაგიმ თავის დროზე, დააბეზღა სვიმონ ჩოფიკაშვილი ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომ რუსების შემოსვლაში დიდ როლს თამაშობდა იგი და ეს რომ არ ერეოდეს რუსების განდევნა უფრო გაუადვილდებოდათ, რადგან თვითონ უნდოდა სვიმონის ადგილი დაეკავებინა, ალექსანდრემ მას მიუგზავნა კაცი და რუსების გარეკვაში დახმარებას სთხოვდა და, რომ ამ პატივის აღსრულებაში მეფე დიდ პატივსა და წყალობას პირდებოდა, თუ არა და ემუქრებოდა სახლ-კარის გადაწვას და ცოლ-შვილის ამოწყვეტას.

სვიმინმა კი ასეთი პასუხი შეუთვალა : - „რა უყო!.. მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ გადავალ და, თუ მეფე ბრძანებს, მარტო მე შევებმი რუსებს“. მისთვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი და უპირველესი ჯილდოა, მაგრამ **მოვალეობა მეფის წინაშე უფლებას არ აძლევს, სხვაგვარად მოიქცეს.** მეფის მორჩილება და მისადმი ერთგულება ქვეყანას სახელმწიფოდ აქცევს. თუ ერი სახელმწიფოდ იქნება შეკრული, მაშინ მას მტერი ვერაფერს დააკლებს, მთავარია ერთიანობა არ მოიშალოს.

შუაკაცებმა ბატონიშვილს სვიმონის პასუხი სულ სხვაგვარად გადასცეს და უთხრეს რომ სვიმონი ღალატობდა სამშობლოსაც და მეფესაც, რომ მას ხალხის მოსვენება და თავისუფლება, ბრჭყვიალა ტანისამოსზედ გაუცვლია. მაშინ ბატონიშვილმა გაგის თაოსნობით გამოისტუმრა ჯარები მის დასასჯელად, ეს ამბავი სვიმონს შეატყობინეს და იგი თავისი ოჯახით, ცოლის სამშობლოში, ჩერქეზეთში გაიხიზნა.

სვიმონის სახლი გაძარცვეს, რისი წაღებაც შეძლეს წაიღეს, დანარჩენი კი გადაწვეს.

სვიმონი სწორედ იმ დროს დაბრუნდა ხევში. როდესაც ელგუჯამ ქალი გაიტაცა და გაგი კლდეზე გადააგდო. ამავე ხანში დანიშნეს მთის ხალხის ნაჩალნიკად და როგორც მეფე გიორგიმ, ისე რუსის მთავრობამაც დიდის პატივით მიიღეს, წყალობით უნდოდათ აღედგინათ მისი დაცემული ოჯახი. ვინაიდან იგი გაგის შორეული ნათესავი იყო და იგი უშვილოდ მოკვდა, მისი მემკვიდრეობა და სახლ-კარიც სვიმონის საკუთრებაში გადავიდა.

გამოჩნდება თუ არა ნაწარმოებში, იგი მაშინვე მკითხველის ყურადღებას იქცევს ჭკუა-გონებითა და მოქნილი სიტყვა-პასუხით, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და

პრაქტიკული შორსმჭვრეტელობით. სვიმონი არ არის რომანტიკოსი და მეოცნებე, ის რეალურად გრძნობს საფრთხეს. მის აზროვნებაში ყოველთვის გონება სჭარბობს გრძნობას, ამიტომაცაა, რომ სანამ რაიმეს მოიმოქმედებს,ჯერ ასჯერ ასწონ-დასწონის, ფიქრით ყველა გზას მოსინჯავს და დასკვნას ისე აკეთებს. ცხოვრებისეული სირთულეები ხშირად აგდებს რთულ სიტუაციებში, მაგრამ სვიმონი არასოდეს ჰკარგავს თავგზას და ცდილობს ხსნის გზის პოვნას.

სვიმონმა უმოკლეს დროში მოიპოვა ხალხის პატივისცემა და სიყვარული, რადგან სხვისი ჭირის გაზიარება და უანგაროდ დახმარება შეეძლო. იგი მშობელი მამასავით ეპყრობა რუსთაგან შეურაწყოფილ მზაღოს და მზრუნველობას არ აკლებს.

სვიმონის სახეს კეთილშობილებას მატებს, ხევის ადათ-წესების აღსრულება და პატივისცემა. მან იცი მოხევეთა ვაჟკაცობისა და შებრალების ამბავი, ამიტომაც ასე დაამშვიდებს მზაღოს: „ჩვენი ხალხი მტერთან იქამდისინ შეუბრალებელი არის, სანამ ღონიერია, მაგრამ თუ დასუსტდა, უბედურებაში ჩავარდა,მაშინ იმასთან მტრობა დიაცობად მიაჩნია“.

სვიმონი ეხმარება ელგუჯას, მიუხედავად იმისა, რომ გაგის სიკვდილის გამო ელგუჯა მისი მტერია, მაგრამ თემის გადაწყვეტილებას მიჰყვება და სისხლის აღებაზე არც კი უფიქრია. ამ მხრივ იგი დიდი ნოვატორი და მართლმადიდებლობის ჰუმანური იდეების პრაქტიკაში დანერგვას ცდილობს. შურისძიება არ არი სწორი. მთავარი მიმტევებლობა და შენდობაა. იგი გააფრთხილებს ჯერ მზაღოს და შემდეგ მათიას, ელგუჯას მოკვლისთვის ჯილდო აქვთ დაწესებული და რომ ეძებენ მას.

ელგუჯა მეორედ რომ მოიტაცებს მზაღოს, სვიმონი ყურადღებას აღარ მიაქცევს და მდევრად თავისივე ძმადნაფიცს გაგზავნის, რუსებისთვის თვალის ასახვევად.

მიუხედავად სახელმწიფო სამსახურისა, სვიმონი მაინც ხალხთანაა, შესაბამისად როცა ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით აჯანყება დაიწყება, ისიც მათთანაა. ხალხი გაერთიანებულია: „რაიღა ვიქნებით თუ კი ჩვენი მეფეც აღარ გვეყოლება?“ მათ გაიგეს მეფის ღალატით მოკვლის ამბავი და მტრის წინააღმდეგ დაიწყეს მზადება.

სვიმონსაც დაუკავშირდნენ თუმცა ფრთხილობდნენ: „ძალიან კი მაინც ნუ ენდობი, რუსის სამსახურშია... ისინი აძლევენ ფულსა და ეშმაკმა არ წასძლიოს“.

სვიმონი მთაში პირველ კაცად ითვლებოდა და მაშინ, როცა აბდია ჯალაბაური თემთან დაიბარებს სათათბიროდ, ერთხანს პატივმოყვარეობა გაიღვიძებს მასში და იტყვის მე რატომ უნდა ვეახლოო, მაგრამ დროზე მოეგება გონს. იგი არ იყო მშიშარა და სიკვდილის არ ეშინოდა, მაგრამ ცოლ-შვილი აფიქრებდა, რომელიც შეიძლება ხალხის აღელვების მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ ეროვნულმა სულისკვეთებამ აიძულა თვითონ წასულიყო ხალხთან და ისე მოქცეულიყო, როგორც მათთვის იქნებოდა სასარგებლო.

„მზადა ვარ, წავიდეთ, ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა“, - ამ სიტყვებით მიმართავს სვიმონი მათიას და ხალხთან მიჰყვება. თუმცა აბდიას მაინც შეჰკადრებს საყვედურს, რატომ არ მოხვედით ჩემთან, ნუთუ არ მენდობით, მე ხომ დღეს თქვენი უფროსი ვარო. აბდიამ ამაყად მიუგო: „შენ ცხო ხალხისგან ხარ დაყენებული უფროსად და ჩვენ კი ჩვენი ხალხისაგან ვართ ამორჩეულნი... შენი ქომაგნი სტუმრად არიან მოსულნი, დღეს თუ ხვალ უნდა წავიდნენ და ჩვენ კი მემკვიდრენი ვართ“...

სვიმონი კი თემის უნდობლობით გულმოკლული მიუგებს: „მე კი არ მეწვის გული მამულისთთვის? გგონიათ, მე კი არ ვხედავ რომ ვიღუპებით? **მეც ვიწვი, მეც ვიტანჯები, მაგრამ აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“.**

სვიმონი ხედავს ხალხის თავგანწირვას, ხვდება რომ ისინი დაუფიქრებლად შესწირავენ ქვეყნის თავისუფლებას სიცოცხლეს, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ მათი თავგანწირვა ამაოა, რადგან ქვეყანა დაშლილ-დაქუცმაცებულია, ყველა საკუთარი თავისთვის იბრძვის. იგი ყველა სალოცავს დაიფიცებს და იტყვის: „დღესვე რომ შეიძლებოდეს ჩემი ცოლ-შვილის მსხვერპლად მოტანით მამულის დახსნა, იმათაც კი არ შევიბრალებდი, მე თითონ ჩემი ხელით ყელებს დავჭრიდი, მაგრამ ეგ არას უშველის მამულს. ვერცა რას მარტო ჩვენ ვუშველით, თუ ყველანი არ შევგროვდით, არ შევერთდით. ასე ნაწილ-ნაწილად მღელვარება და თავის გაწირვა მხოლოდ ხალხს

გაგვწყვეტს“. არც მკითხველს და არც, მთიულებს ერთი წუთითაც კი, არ ეპარება ეჭვი სვიმონის გულწრფელობაში.

სვიმონი შეატყობინებს ხალხს, რომ ქართლში განხეთქილებაა, მაგრამ არ უჯერებენ. სვიმონი ურჩევს, კაცი გაგზავნონ ამბის გასაგებად. სიმართლის გაგებამდე ხალხი არ უნდა შეებრძოლოს რუსებს. იგი რუსთა ჯარების შეჩერებასაც შეეცადა, ჯარის უფროსს უკან გაბრუნება ურჩია, მაგრამ არ დაუჯერეს. ის ხალხსაც საყვედურობს აჩქარებას: „ვაჟკაცს მოთმინება უნდა ჰქონდეს და დრო, მოლოდინი იცოდეს“. მაგრამ სამწუხაროდ სისხლი მაინც დაიღვარა, ბრძოლის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ბევრმა ქართველმა შეაკლა თავი მეფისა და ქვეყნის ერთგულებას. გაწყდა უამრავი რუსიც, სვიმონს აჯანყების მოთავეთა დასჯა მოსთხოვეს, მაგრამ სანამ „ხევის ბურჯი“ ცოცხალი იყო, ხელი ვერავის ახლეს.

ქართლიდან ჩამოსულმა კაცმა კარგი ამბავი ვერ **მოიტანა: ერთიანობა არ არის, იულონ ბატონიშვილი დაუჭერიათ, ფარნავაზ ბატონიშვილი გაქცეულა. ქალაქმა კი „რუსები მშვიდობიანად მიიღო და იმათ „რაი, რაი, რატატაის შესცქერისო**“.

იშვიათია ისეთი ტკივილითა და კვნესით დაწერილი სტრიქონები, სადაც ყაზბეგი ამ ამბავს აღწერს - როგორ წარმოუდგენია სვიმონს გათითოკაცებული, დაბნეული, უბედურების ქსელში გახვეული საქართველო... როგორი სიმწრით არის ნათქვამი თითოეული სიტყვა, რომლითაც ის თავის თანამოძმეთ მიმართავს, როდესაც სთხოვს, რომ დაიშალონ და დაითმინონ .

მთიელებს, რომელთათვისაც „შერცხვენილი სიცოცხლე სიკვდილზე ათასწილ საძნელოა“. სვიმონი ცდილობს საკუთარი თავისა და დაბნეული, გულგატეხილი ხალხის დამშვიდებას, ამ უბედურებიდან გამოსავალი არსაიდან ჩანდა, მაგრამ იმედი არ უნდა გადაეწურათ: „ეხლა ხალხი ავად არის ერთის ავადმყოფობით, საერთო სენით. მოვა დრო და ღრუბელი **ჩვენშიც გაიმქრევის, მზე გადმოიხედავს, დრო შეიცვლების** და ავადმყოფი მოკეთდების, ძმა ძმას დაინახავს და შაერთებული საქართველო, ერთ ხორც და ერთ სულ გადაქცეული, აღსდგების!.. აღსდგების იმად, რომ მტერს მტრის საკუთნო მოუწყოს და

მოყვარეს - მოყვრისა“. იმ დროისთვის შემოინახონ თავი, ახლა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე უნდა იფიქრონ, არამედ სამომავლოდ თავის შენახვაზე!

ყაზბეგი სვიმონის დამოკიდებულებას, მოხევეების მიმართ და მის დიპლომატიურ ნიჭს, ნაწარმოებში კარგად წარმოაჩენს, როდესაც რუს ოფიცერს მასთან რამოდენიმე მოხევე მიყავს, ნაცემ-ნაწვალევი, გატანჯული, ღირსება აყრილი და სიამაყით წარუდგენს:

„- რამდენიმე მოხევე, მოწინააღმდეგეთ მოთავენი, დაჭერილები ჩამოგიყვანეთ. სამაგალითოდ უნდა გადაახდევინოთ, რომ ხალხმა გაიგოს, რაც მოუვა რუსის ჯარის და იარაღის მოწინააღმდეგეს; მე მგონი, რომ მათი ჩამოხრჩობაც-კი მეტი არ იქნებოდა... ხალხზეც დიდი გავლენა ექნებოდა და ვეღარაფერს გაბედავდნენ“...

სვიმონს არ მოეწონა ოფიცრის სიტყვები „რადგანაც წარბები რაოდენამდე შაეჭმუხნა და ქვევითა ტუჩმა თრთოლა დაუწყო“. ბოლოს ვეღარ მოითმინა და უთხრა: „- რა განკარგულებაც უნდა მოვახდინო, მაგის რჩევას მე თქვენ არა გკითხავთ, გთხოვთ მხოლოდ თქვენი ვალი აღასრულოთ, დაჭერილები ჩამაბარეთ და რასაც უზამ, ეგ ჩემი საქმე იქნება“.

მან როგორც კი შეხედა მოხევეების ტანჯულსა და ნაწვალებ სახეს, სვიმონს თვალები აენთო ჯავრისაგან და განრისხებული მიუბრუნდება ჯარის უფროსს: „არამც-თუ მხოლოდ უგულო, გაუზრდელიც კი ყოფილხართ... მოითმინეთ, მოწყალეო ხელმწიფევ! ყოველისფერს გამოვიძიებ და თქვენს უმართებულო საქციელს დაწვრილებით თბილისში შევატყობინებ... ხალხის მომხრობის მაგიერ, თქვენ თითქოს განგებ ყოველის ღონისძიებითა სცდილობთ რუსებსა და ქართველებს შორის უთანხმოება ჩამოაგდოთ!“... ამის შემდეგ, იქ მყოფ იასურელებს სთხოვს, რომ ნაწამები მოხევეები სადმე დაეწვინათ და ექიმი დაეყენებინათ..

აქვე ავტორი თან დაურთავს, რუსი მოხელეების შესახებ: „ახლადმოსულებს ჩაგონებულნი ჰქონდათ, რომ ქართველები უზრდელნი, ბრიყვნი, გარეგანნი და ბარბაროსები არიანო; რომ მათზედ გავლენა მხოლოდ ძალდატანებით და სიმკაცრით შეიძლებაო; ამისთვის ყოველი რუსი მოხელე საქართველოში, პირველსავე ფეხის

შემოდგმაზედ, თავის მოვალეობადა ხდიდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს ამ აზრის თანახმად მოქცეოდა, რამდენადაც შეიძლებოდა სიმკაცრე და შეუბრალებლობა გამოეჩინა“. რაც კიდევ ერთხელ გვიმყარებს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მწერალს გამიჯნული აქვს ერთმანეთისგან რუსი ხალხი და „შავ-ბნელი“ პოლიტიკა.

სვიმონმა, მძიმედ ავადმყოფმა, გარდაცვალებამდე კიდევ ერთი მაგალითი უჩვენა თავის სახლში შეკრებილ საზოგადოებას, იგი ელგუჯას თავის შვილად აღიარებს და ეუბნება: „შენ რომ დამნაშავე იყო,შენი ბალღებისა რაი ბრალია?“ ამიტომაც თემმა, ელგუჯას მამული, სახნავი და სათიბი სულ ერთიანად სვიმონს არგუნა, მან კი უკან დაუბრუნა ელგუჯას ყველაფერი, მხოლოდ ერთი ქვა-ღორღიანი სათიბი დაიტოვა ისიც იმიტომ, რომ თემის სიტყვას არ გადასულიყო.

ამ ყველაფერს წინ უძღოდა მოხუცი ღინჯასა და სვიმონის დიალოგი, ღინჯა ეუბნება სვიმონს: „რასაც მოსამართლე ვერ შეუნდობს, - კაცმა უნდა შეუნდოს, მოძმემ მიუტეოს“. სვიმონს უკვირს და შეეკამათება მას: აგრე იქნებოდა, ღმერთი რომ ვიყვნეთ, მაგრამ რა ვქნათ, კაცნი ვართო. ღინჯა უკან არ დაიხევს, „ჰაი, ჰაი, რომ ღმერთი არა ვართ, შენი კვნესა-მე! მაგრამ ღვთის სახეს ვატარებთ და იმის სიტყვას უნდა ვასრულებდეთ, იმას ვბაძავდეთ“.

მაშინ საწინააღმდეგოს სვიმონი აღარაფერს იტყვის. მისი კაცობაც ხომ იმით იზომება, როგორ ასრულებს ღვთის მცნებებს.

შემოკრებილ ხალხს კი შემდეგნაირად მიმართავს:“გ**ახსოვდეთ, რომ თემის სურვილი უფლის სურვილია.** მე მომხედეთ და ხალხის სურვილს თქვენც ასე აღასრულებდეთ... ამასვე ანდერძად დაუგდებდეთ თქვენს შვილებს“, თემის სიტყვას ყველა ისე დამორჩილდეს, როგორც ღმერთის ბრძანებას“. და დასძენს: **„ერთობა ძალაა და ძალა კი ბედნიერება“.**

არ გასულა დიდი დრო, რომ საქართველოში ფეხმომაგრებულმა რუსებმა, რომლებიც მოწადინებულნი იყვნენ რაღაცით თავი გამოეჩინათ და მეტად ებრჭყვიალა მათ სამხრეებს, აღარც სვიმონი დაინდეს და აღარც ისინი, ვინც მათ თავის დროზე

წინააღმდეგობა გაუბედა. სვიმონს მომაკვდავის სარეცელზე აჰყარეს მათ მიერვე მინიჭებული პატივი და საიქიოს იმის დარდიც გააყოლეს, რომ მისმა მცდელობამ თანამოძმენი ვერ გადაარჩინა.

სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი იგი ხალხზე წუხდა და ფიქრობდა, მაშინ როცა „ნაჩალნიკი“ საგამოძიებო კითხვებს უსვამდა და მიხვდა სვიმონი, რომ ნაჩალნიკს როგორც სურდა და აწყობდა ისე აკეთებდა ყველაფერს შემდეგ სიტყვებს ეუბნება ის მას: „ - ღმერთია მოწამე, რომ ჩემთვის არა გთხოვდი, არ შევწუხდებოდი, მაგრამ ხალხი ბეჩავია... იქონიეთ შებრალება! მკაცრად ნუ მოექცევით... ჯავრობითა და შეღლით იმათაც დაღუპავთ და მართებლობასაც ვერაფერს არგებთ... ჩემზედ დასწერეთ რაც გინდათ, ისე მომიგონეთ, როგორც გინდათ, ისე დამაბეზღეთ, რაც გინდათ დამაბრალეთ; ყველაფერზედ ხელს მოგიწერთ, ოღონდაც იმათ ჩამოეხსენით“. ამ სიტყვების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია სვიმონს, უკანასკნელად გამოესალმა ხალხს და უკანასკნელა უსურვა მშვიდობა...

სიკვდილის შემდეგ ღირსეულ მამულიშვილს, სვიმონ ჩოფიკაშვილს შემდეგი სიტყვებით დაიტირებდნენ: „ის არ სჯობდა, რომ ჩემი სიკვდილი გაგეგონათ, სანამ ხევის ბურჯის წაქცევას გაიგონებდით?.. ბრალია, ღვთის მადლმა, რომ ხევის განმანათლებელს, ხალხის ნუგეშს, მოძმეთ შემნახველს შავი მიწა სჭამდეს“...

მართლაც, ხევის განმანათლებელი, ბურჯი, ხალხის იმედი, მოძმეთ მფარველი იყო ხევის მმართველი, იგი ყოველთვის ყურს უგდებდა ხალხის ხმას და ღვთის ნებას მიჰყვებოდა.

„უმაგისოდ რანიღა ვართო“, - დაჰქვითინებენ მოხევეები სვიმონს და არ აკლდებათ მისი საქები საქმეების გახსენება. მწერალი როგორც შენიშნავს, „თითქოს თვით ჰაერსაც კი ეგრძნო ხევის მწუხარება“. ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას.ავტორი.

სვიმონი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, გაერთიანებულ საქართველოს ვერ მოესწრო. „ხმა ღვთისა და ხმა ერისას“ აღმსრულებელი მამულიშვილი, მთამ ღირსეულად დაიტირა.

„თუ „ელგუჯაში“ ელგუჯა, მათია, მზაღო თავისუფლების დაკარგვის მიმართ შეურიგებლობას ინდივიდუალური პროტესტის დონეზე გამოხატავენ, ერის კოლექტიური ინტელექტის განსახიერება რომანში სვიმონ ჩოფიკაშვილია. ელგუჯას და მზაღოს ღირსების დამფასებელი და ჭირისუფალი სწორედ სვიმონ ჩოფიკაშვილია.

მაგრამ მას შემდეგ, რაც სვიმონი გარდაიცვალა, „გარდაიცვალა სვიმონის ცოლიც და იმის ადგილი დაიჭირა იმის უფროსმა რძალმა, რომლის ქმარიც (ე.ი. სვიმონ ჩოფიკაშვილის შვილი!) სამხედრო სამსახურში შესულიყო და ისე ბედნიერად მსახურობდა“.

ქართული არისტოკრატია მამულების და ყმების გადანაწილების ფაცა-ფუცით აღმოჩნდა დაკავებული. „გლეხკაცების კამერალური აღწერის“ ჩასატარებლად სვიმონ ჩოფიკაშვილის შვილს რუსი ჩინოვნიკი ეწვია, „რომლის კალმის მოსმაზედაც იყო დამოკიდებული გლეხკაცთ ყურმოჭრილ ყმად თუ თავისუფლად გახდომა“. რუს ჩინოვნიკს სვიმონის ვაჟმა გულუხვი მასპინძლობა გაუწია.

„როდესაც ჩინოვნიკმა გაათავა თავისი მუშაობა, თქვენ რომ თვალი გადაგევლოთ იმის რვეულისათვის, საბატონო ყმების სიაში ამოიკითხავდით: მზაღო ნასყიდაშვილისა, თავისი ორი შვილით!“ ასეთად იქცა საქართველოს შიდაცხოვრების წესი... ქართული არისტოკრატია, რომლის სოციალური პრივილეგიები ერის წინაშე პასუხისმგებლობითა და ხმალჩაუგები ცხოვრების წესით იყო მოპოვებული, ერის ერთობლივი მომავლის ორიენტაციას მოწყდა და ლოკოკინასავით შეიყუჟა საკუთარ ნიჟარაში“. (გიორგი გაჩეჩილაძე. ქართველი მწერლები სკოლაში. გვ.206)

ვახტანგ გოგუაძე წერს: „მწერალმა იშვიათი სოციალური ხედვით, ფსიქოლოგიური სიმართლით დაგვიხატა სვიმონ ჩოფიკაშვილის - პოლიტიკური მოღვაწის, პატრიოტის - სახე. პოლიტიკოსის პატრიოტობა არ ნიშნავს ოდენ გამბედაობასა და თავგანწირვის უნარს. სხვაა, როცა მხოლოდ შენი თავი გაბარია, და სხვაა, როცა მოძმეთა ბედი გიპყრია ხელთ. უგუნური სიმამაცე ლიდერისა შეიძლება საბედისწერო გახდეს ხალხისთვის.

ყველაზე მეტად სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ მომადლებული ჰარმონიის გრძნობა - გონებისა და გულის ერთიანობა რომ ჰქვია, და რითაც ასე უხვად არის ბუნებისგან დაჯილდოებული სვიმონ ჩოფიკაშვილი.

„სვიმონ ჩოფიკაშვილი თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო უბრალოდ „ნაჩალნიკი“ კი არა, არამედ ჭეშმარიტი წინამძღოლია თავისი ხალხისა. უაღრესად დინჯია და დაფიქრებული. გამჭრიახი გონების, ბრძნადმეტყველი. უსამართლობის წინააღმდეგ თანმიმდევრული მებრძოლი, უაღრესად მტკიცე და პრინციპული. დიდად მოსიყვარულე თავისი ხალხისა, მისი ადათ-ტრადიციების პატივსმცემელი და მისი ღირსების დამცველი, მშრომელთა მოსარჩლე. ხშირად თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებს საერთო საქვეყნო ინტერესების, ქვეყნის მთლიანობის სასარგებლოდ. პოლიტიკურად ფხიზელია, ქვეყნის მომავლის განმჭვრეტი; სულგრძელია, გულკეთილი, ლმობიერი და შემწყნარე. დიდად მოსიყვარულე მამა და მეუღლე“. აღნიშნავს ლადო მინაშვილი.

თავი IV

ეროვნული გმირის მხატვრული სახე „მამის მკვლელში“

ეროვნული გმირის მხატვრული სახის შექმნას ემსახურება აგრეთვე ყაზბეგის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი რომანი - „მამის მკვლელი“. ამ ნაწარმოებში სულ სხვა ასპექტითაა გააზრებული ისტორიული რეალობა. თხზულებაში ეროვნული გმირის მხატვრული სახე უპირისპირდება ანტიგმირის სახეს და დრამაში აქტიურადაა ჩართული

ზიარების საიდუმლო, როგორც მინიშნება ავტორის ქრისტიანული მსოფლხედველობისა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ყაზბეგის დამოკიდებულება რელიგიური სიწმინდეების მიმართ ძალიან დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით არის გამორჩეული. ეს ტენდენცია რელიეფურად არის გამოკვეთილი მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოებში. მისი გმირები ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი არიან და მუდამ გამოთქვამენ მზადყოფნას მსხვერპლად შეეწირონ თავიანთ რწმენასა და მშობლიურ მიწას. ასეთ ნიადაგზე მათი დგომა ცხადყოფს ჩვენი ავტორის ჭეშმარიტ მორწმუნოებას.

ყაზბეგს უყვარს თავისი მშობელი ხალხი, ამის დამადასტურებელი მაგალითებით სავსეა მწერლის ბიოგრაფია. საამისოდ კმარა გავიხსენოთ მისი მწყემსად წასვლა. კომბალი და ტყაპუჭი აირჩია იმისათვის, რომ გაეგო თავისი ხალხის ჭირ-ვარამი.

ხალხის წრიდანაა გამოსული იაგო. იგი ღირსეული ვაჟკაცია, მას გვერდით უდგანან ასევე უბრალო ხალხის შვილები: ფარჩო, ვეფხია, ელბერდ და სხვები. სწორედ მათ უნდა იხსნან ნუნუსა და მისი მამის ნაირი ჩაგრული ადამიანების ღირსება. გადაარჩინონ სპეტაკი სიყვარული შელახვისა და დამცირებისაგან. ყველა მათგანი მზადაა ამისათვის დაუფიქრებლად გასწიროს თავისი სიცოცხლე, მაგრამ მათ შორის ყურადღებას იქცევს კობა. კობა სრულიად ახალი სტრუქტურის ეროვნული გმირის მხატვრული სახეა, რომელიც შეიძლება ითქვას „გაშიფრა“ გიორგი გაჩეჩილაძემ. მისი სტატიების ციკლი - „ინტელექტუალური ღალატი, “ გაგრძელებებით დაიბეჭდა გაზეთ „ახალი ეპოქის“, დამატებაში „ჩვენი მწერლობა“, 12-18 სექტებერი. 2003წ. გვ8-9, სადაც ავტორი გვთავაზობს ბევრ სიახლეს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ. თუმცა ჩვენი ნაშრომისათვის საყურადღებო გახდა ყაზბეგის რომანის „მამის მკვლელის“ მთავარი გმირის კობას მხატვრული სახის - როგორც ეროვნული გმირის სრულიად განსხვავებული მოდელის ავტორისეული გააზრება.

კობა ნაწარმოებში პირველად ჩნდება, როდესაც გირგოლა ნუნუს იტაცებს თავისი ძმისათვის, იგი ნადირობისას შემთხვევით დაინახავს, რომ უმწეო ქალებს, ნუნუსა და თავის სატრფოს მარინეს უპატივცემულოდ ექცევიან გირგოლა და მისი თანმხლები ოსები, კობა

მათ ვაუკაცურად შეებრძოლება, ერთ-ერთი ოსი შემოაკვდება კიდეც, მაგრამ მაინც ვერ გადაარჩენს ნუნუს, რადგან გირგოლა და მისი მეგობრები ცხენებით გაეცლებიან იქაურობას და ნუნუსაც თან წაიყვანენ, კობა კი ქვეითად ვეღარ დაეწეოდა მათ, შემდეგ იგი გონებადაკარგულ სატრფოს მოასულიერებს, **გამოემშვიდობება და მიიმალება,** რადგან იცოდა, რომ ოსის მოკვლისთვის, მკაცრად გაასამართლებდნენ და მასაც იაგოს ბედი ეწეოდა.

ერთგან კობა და თორღა იაგოს ციხიდან გაპარვას ცდილობდნენ, რა დროსაც რუსები შენიშნავენ მათ, თუმცა სურვილი მეგობრის გადარჩენისა იმდენად დიდი იყო, რომ ამ წადილს წინ ვეღარაფერი აღუდგა და **გაქცეულებმა ტყეს შეაფარეს თავი.** საინტერესოდ და ღრმად სააზროვნოდ აღგვიწერს მწერალი, **კობას** ირმებზე ნადირობას, მოცემულ მონაკვეთში ყაზბეგი იმდენად ფილოსოფიური შინაარსით გვიხატავს სურათს, რომ შეუძლებელია მოკლედ გადმოცემა ისეთი მაღალმხატვრული ნიჭით, როგორც ამას ყაზბეგი აკეთებს: „მეორე მხარეს კლდის კინწრიხოზედ ამაყად გადმოდგა „ხარი ჯიხვი“. ვეებერთელა მოხრილის რქები, თითქმის ნახევრად გადმოიზნიქა კლდეზედ და გახურებული შუბლი მიუშვირა ნიავს. ეს იდგა ამაყად, უშიშრად ჰგრძნობდა, რომ თავის სამფლობელოში იყო... ის იდგა ისე გაუნძრევლად და კობასაც ეშინოდა განძრევა რათა ხმაურობით არ დაერღვია სიამოვნება იმ ლაზათით სავსე პირუტყვისათვის.

ერთბაშად მოისმა სტვენის მიმსგავსი ფრუტუნი და ნადირი შეტრიალდა. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალაღებული ხარი როგორიც იდგა კლდის წვერზედ, ის მიდიოდა მეორე ჯიხვისკენ წყნარად, დარწმუნებული თავის უპირატესობაში. ყოველი იმათი რქების მოხვედრა ერთმანეთს, ისეთ ხმას გამოიღებდა, თითქოს რამდენიმე თოფი ერთად გავარდაო, ღმერთსაც ნუ ექმნა, რომ ქვევითს ეღალატნა ზევითისთვის, გასცლოდა იმ დროს, როდესაც მეორე მოდიოდა, თორემ იმას აღარა იხსნიდა-რა; რამდენიმე ასი საჟვნის სიმაღლითგან გადავარდნილს სული აღარ ჩაჰყვებოდა ხევამდენ, მაგრამ დარწმუნებული ქვევითის უღალატობას, მოდიოდა ეს შნოებით სავსე პირუტყვი და მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, ძალზედ დაეკრა.

კობა უყურებდა გატაცებით, გაშმაგებით და შეჰნატროდა ამ პირუტყვთ ზნესა და ჩვეულებას, რომელსაც ერთი ერთზედ გამოჰყავდა და ერთს ერთთან აბრძოლებდა“. კობას უკვირს ადამიანებს რად დაუკარგავთ ის, რაც პირუტყვთათვის ჩვეულებრივი ღირსების საკითხია. ყაზბეგი მეტაფორულად გადმოგვცემს, აღნიშნულ სიუჟეტს და ცდილობს ზნეობრივ მასწავლებლად გაუხადოს იგი, როგორც კობას, ასევე მკითხველს. კობას გული წყდება რომ ისე როგორც ირემი ტავის სამფლობელოში, თვითონ ისე ბრგედ და ამაყად ვერ არის თავის სამშობლოში.

ნაწარმოებში კობა იაგოსა და ნუნუს მხსნელად არაერთხელ ევლინება, ფაქტიურად იგი მათ არცერთი წუთით არ ტოვებს გარდა რამოდენიმე უცნაური გამონაკლისისა რომელზედაც შემდეგ გავამახვილებთ ყურადღებას... მაშინ როცა იგი იაგოს მოუთხრობს, ნუნუს გატაცების ამბავს, ისინი გადაწყვეტენ, რომ ნუნუ მოიტაცონ, ამ მიზნით კობა მიდის გირგოლას სახლთან, რა დროსაც ნუნუ მას შორიდან გირგოლას მიამსგავსებს და **სახლიდან გაიქცევა,** თუმცა ამის მიუხედავად ნუნუ იაგოს შემთხვევით გადაეყრება ტყეში... შემდეგ უკვე გირგოლა მეორედ იტაცებს ქალს, იაგოს სასიკვდილოდ დაჭრის თავის მხლებლებთან ერთად, თუმცა აქაც კობა იხსნის იაგოს სიკვდილისაგან.

აქვე საინტერესოა მეგობარ ქისტებსა და კობას შორის გამართული დიალოგი, როდესაც საზღვარზე სურთ გადასვლა და ჩეჩნების ომში ჩაბმა, ფარჩო კითხავს კობას, გაუშვებენ თუ არა გვირგალაზე (საზღვარზე) მოხევე ყარაულები, იაგო გაიკვირვებს თუმცაღა ეჭვის შეპარვით, თუმცა მიუგებს, რომ მოხევე ყარაულები ურჯულოების ხელში არ ჩაყრიან მათ, რის შემდეგაც ფარჩომ უპასუხა: - რა ვიცი? გირგოლაც თქვენებურია... - ჩვენებურია, ჩვენებური, მაგრამ რაი ვუყოთ? განა ყველა ეგეთია? გაირყვნა ქვეყანა, მოთავე ხალხი ვინც არიან, ისინი იმათია და ჩვენისთანა ბეჩავს კაცს რაი შეუძლიან? - მაშ თქვენებურებს ვერ მოელაპარაკები? რომ გაგვიშვან საზღვარზე? იკითხა ფარჩომ. - რაისთვი ვერა?! ვეტყვი. - რომ დაგიჭირონ? თუ გეეჭვება და არ ენდობი ნუ წახვალ სანამ კობა მოკეთდება აქაც გავმაგრდებით. - არა, ფიქრი არაა. ამ სიტყვებით კობამ გასწია გვირგალას წვერისკენ. მას ამ დროს სურდა ქისტები დაერწმუნებინა თავისი ქვეყნის

ერთიანობაზე, უბრალო ხალხში მაინც. მან მოხევეებს მოკლედ გადასცა თავისი მისვლის მიზეზი, უთხრა, რომ მათ ხელშია და თუ კაცობა და სინდისი აქვთ, უნდა გაუშვან თავის მეგობრებთან ერთად საზღვარზე. ყარაულებმა ვერ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა და უპასუხეს: - აი გზა და აი კვალი, მოკვდეს ვინც გზა არ მოგცეთ. მაშინ კობამ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ჯერ კიდევ სცნობს ძმა-ძმას თავის სამშობლოში, რაღაცის იმედი მიეცა და მეგობრებთან ერთად გაუდგა სასურველ გზას.

ჩეჩნები სიამოვნებით მასპინძლობენ ქართველ ვაჟკაცებს, ბიჭები შეჰყურებდნენ მათი ცხოვრების წესს და ბევრ მსგავსებას ხედავდნენ, სტუმარ და მასპინძელ ერს შორის, ოღონდ ერთი განსხვავებით, ჩვენთან ეს ტრადიციები თითქმის დავიწყებას მიცემოდა. შამილთან საუბრის შემდეგ, კობა შემდეგ სიტყვებს წარმოთვამს: - რაიც ჩვენში გაგვიგონია მამა-პაპათაგან, აქაც ის ყოფილა, ჩვენთან თემის პირი გატეხეს. საკვირველია, არ ჯობდა ყველანი ძმასავით ყოფილიყვნენ? ავსა და კარგს გაარჩევდი. ბედნიერია ჩეჩენი ხალხი, მაგათ მოსამართლის არჩევა თავად შეუძლიათ. ჩვენ კი ვინ იცის, ვის გვინიშნავენ! (გულისხმობს ჩეჩენი ხალხის მიერ ნაიბის დამოუკიდებლად არჩევას). კობას ამ სიტყვებში გამოკრთის ის დიდი გულისტკივილი, რისი მიზეზიც, თავისი ხალხის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაკარგვაა.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება არაერთგზის გადაფასდა. თანამედროვე გადასახედიდან პროზაიკოსის თხზულებები, როგორც აღვნიშნეთ, ორიგინალურად გაიაზრა ჩვენი დროის ერთ-ერთმა ცნობილმა მეცნიერმა, გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც სრულიად ახლებურად გაიაზრა ეროვნული გმირის ყაზბეგისეული იდეალები. მკვლევარი აღნიშნავს: „ყაზბეგი რომ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ველზე უკვე საზავო განწყობა სუფევდა. ფორმალურად იგი ამ ბრძოლაში არ ჩარეულა, მაგრამ ბრძოლის ამ ველზე, რაც მწერალმა დაინახა, იყო პარადოქსული წინააღმდეგობა, რომელიც მათ ასაკობრივი ნიშნით გააზრებას ახლდა. „მამათა“ ბანაკი სავსე იყო „შვილთა“ ტოლებით, ხოლო „შვილთა“ ბანაკი - შვილებისადმი სოლიდარული „მამებით“.

გრიგოლ ორბელიანის მიერ შექება „ელგუჯასა და „მამის მკვლელისა“, ერთგვარი აღიარება იყო იმისა, რომ მან ყაზბეგის რომანების თვალით შეხედა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში რუსეთის იმპერიის წყალობით დატრიალებულ ცხოვრების დრამას.

საქართველოს რუსეთისაკენ ნაბიჯი გადაადგმევინა არა მარტო ირან-თურქეთის აგრესიამ, არამედ ჩრდილო კავკასიელთა უგუნურმა თავდასხმებმაც, რის შედეგადაც საქართველოს კავკასიის საყრდენი ზურგი მოეშალა. შამილის წინააღმდეგ ქართველების გამოსვლა, ერთგვარი პასუხი იყო ჩერქეზ-ღლიღვი-დიდო-ქისტების მიერ გაწამებული ხალხისა. მართალია, კავკასიური კონფლიქტი რუსეთის „დაყავი და იბატონეს“ წისქვილზე ასხამდა წყალს და ჩვენც და ჩრდილო კავკასიელებსაც ერთმანეთის მიმართ ჩადენილი დანაშაულის მძევლებად გვაქცევდა, მაგრამ ყველაფრის სრულფასოვანი გააზრება რთული შეიქნა. მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოში სოციალ-დემოკრატების გამოჩენამ გაართულა პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის სწორი ორიენტაცია. ილია ჭავჭავაძე ეთადერთი იყო ვინც მტკიცედ ადგა ურყევ ეროვნულ პოზიციას. გაჩეჩილაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გრიგოლ ორბელიანის მიერ ყაზბეგის ჰომეროსად აღიარება ერთგვარი გარდატეხა, ახალი ინტელექტუალური ეტაპის დასაწყისი იყო. ამ აღიარებით - აღნიშნავს მკვლევარი, ყაზბეგმა, როგორც შვილმა, გაამხილა მამა. საქმე ეხება მათი ტექსტების მიღმა არსებულ სიტუაციას, რომლის შესახებ სახელდებით არც გრ. ორბელიანს დაუძრავს კრინტი და არც, - ყაზბეგს. მაგრამ იგი მათ შორის თანხმობის პირობად გაფორმდა. ამდენად ყაზბეგის მამის მკვლელის გასაღები მე-19 საუკუნის „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის სიუჟეტში დევს“. წერს მკვლევარი გიორგი გაჩეჩილაძე. (გაზეთი „ახალი ეპოქა“ დამატება „ჩვენი მწერლობა“ 12-18 სექტებერი, 2003;8-9)

გაჩეჩილაძის აზრით, „ყაზბეგს ინდივიდუალური კონფლიქტის პრობლემა კულტურათა კონფლიქტის სიბრტყეზე გადააქვს. ხედვის ეს კუთხე წითელ ზოლად გასდევს ყაზბეგის მთელ შემოქმედებას. „მამის მკვლელში“ ყაზბეგი მიმართავს ქართულ-

კავკასიური და რუსული მენტალობის პარალელურ სარკეებში ურთიერთარეკვლის ხერხს.

კობამ და იაგომ რომ თავის მეგობრებთან ერთად სამი რუსი ოფიცერი აიყვანეს ტყვედ, შამილთან შეხვედრამდე ტყვეებთან ერთად გზად ჩეჩნურ სოფელში შეისვენეს... ეს არის სცენა, რომელიც დღეს მაინც უნდა იყოს რუსეთის სამხედრო აკადემიებში ტრანსპარანტივით ჩამოკიდებული, როგორც სამხედრო ეთიკის გაკვეთილი; განსაკუთრებით რუსეთში, რომლის ბედიც დამოკიდებულია ევრაზიული სივრცის ორგანიზაციის გადაწყვეტის პრობლემაზე. ეს ხომ ერთობლივი პრობლემაა როგორც ქართველებისა და კავკასიელებისთვის, ისე რუსეთისათვის"(გაზეთი „ახალი ეპოქა" დამატება „ჩვენი მწერლობა" 12-18 სექტებერი,2003;8-9).

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურა გმირის ძიებით იყო დაკავებული. ეს იყო ეროვნული ცნობიერების დაძაბულობის გამოვლინება. რეალობის შეცვლის განწყობა სუფევდა, მაგრამ არ ჩანდნენ ამ რეალობის შემცვლელი ძალები. მისაბაძ მაგალითს ვერც ქართული ლიტერატურა თავაზობდა ხალხს და არც ცხოვრებაში ჩანდნენ ლიტერატურის შთაგონებისთვის გამოსადეგი პროტოტიპები.

ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში წერს:

„მაგრამ ქართველნო სად არის გმირი?!
რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისც ვტირით.
იგი აღარ გვყავს მის მოედანი
ჯაგით აღვსილა ვერანად ქმნილა
გმირის დამბადი დიდი საგანი,
ჩვენში სპობილა და წარწყმედილა.

ამავე აზრს იმეორებს აკაკი: **„გმირებს უძახის უყივის ჩემი დაფი და ნაღარა."** „მე-19 საუკუნის ქართველმა ინტელექტუალებმა ერისა და ადამიანის თავისუფლების იდეა ერთობლივ პრობლემად აღიარეს და დაუფარავად გამოხატეს; ამ პრობლემის გადაწყვეტის დასავლურ მოდელზე ორიენტაციის სურვილი. საქართველოს აქამდე ჯერ

კიდევ ბევრი გზა ჰქონდა გასავლელი, ამიტომ საკმაოდ პრაგმატულად გამოიყურებოდა „საქართველოსთვის გადამწყვეტი ბრძოლის“ გადავადების სტრატეგია.

აკაკი -

მოვა დრო და თავს აიშვებს,

იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი,

სიხარულად შეეცვლება

ამდენი ხნის გასაჭირი.

ილია -

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,

ვისიც არ ითქმის სახელი,

ვისაც დღედაღამ ნატრულობს

ჩუმი ნატვრითა ქართველი?

ილია ჭავჭავაძემ და ყაზბეგმა მხოლოდ ის კი არ დაგვანახეს, რომ გაბრომ შურისძიების მიზნით მოკლა დათიკო, „კაკო ყაჩაღის“ ზაქრომ - ბატონი, ყაზბეგის კობამ - გირგოლა და დიამბეგი, არამედ ის, რომ დამთავრდა ქართველი ერის სოციალური თანაყოფის „ავთანდილ-შერმადინიანის“ თარგზე აწყობილი ცხოვრების დრო.“

მე-19 საუკუნეში მწერლობამ ავთანდილ - შერმადინის ადგილას ჯერ დათიკო და გაბრო აღმოაჩინა, ხოლო ყაზბეგმა მათ კობა და გირგოლა, ელგუჯა, გაგი, სვიმონ ჩოფიკაშვილი, ელბერდი და სხვა პერსონაჟები მიაყოლა.

ყაზბეგის „მამის მკვლელს“ სიუჟეტურად „მამის მკვლელის“ მითთან არაფერი აკავშირებს, გარდა მამის მკვლელობის თავზარდაცემი ცილისწამებისა. „მამის მკვლელში“ ყაზბეგის ინტერესის საგანი არის არა შვილის მიერ მოკვლით გამოწვეული დრამა (რომანში ასეთი რამ არ ხდება), ან მამის მიერ შვილის მოკვლით გამოწვეული ფსიქოდრამა (როგორც ეს არის „ხევისბერ გოჩაში“), არამედ დრამა, რომელსაც იწვევს საზოგადოების მხრივ შვილისადმი (თანაც ქალიშვილისადმი) მამის მკვლელობის უსამართლოდ წაყენებული ბრალდება.

ყაზბეგი მომხდარი ფაქტით გვეუბნება, რომ კულტურის ფასეულობანი (მაგალითად, მამის მკვლელობის შემზარავი ფაქტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მოთხოვნა) არ არის საკმარისი გარანტია იმისთვის, რომ ადამიანი ყოველთვის დაცული იყოს საზოგადოების მხრივ ამგვარი უსამართლო ბრალდების წაყენებისაგან“ (გაზეთი „ახალი ეპოქა“ დამატება „ჩვენი მწერლობა“ 12-18 სექტებერი, 2003;8-9).

თუ დავაკვირდებით ყაზბეგის მიერ მინიშნებულ პრობლემას, იგი ჩვენ დღემდე მოგვყვება, ამდენად ის ამ პრობლემით ერთგვარად გვიწინასწარმეტყველებს კიდეც, თუ რა მხვრივ გვაქვს პრობლემა ერს აღმოსაფხვრელი. ავტორი ერთგან აღგვიწერს კობასა და მისი მეგობრების, ოსი მეგზურის ღალატს, ის ჯერ სასტუმროში დააბინავებს, შემდეგ კი დასასმენად წავა აბრაგთან, გასამრჯელოს აღების მიზნით. დამსმენის გასტუმრების შემდეგ გადაწყდება რომ ჯარით შემოერტყათ ალყა, იმ სასტუმროსათვის, სადაც იაგო იმყოფებოდა თავისი მეგობრებითურთ, ჯარის უფროსმა დანებებისკენ მოუწოდა. სასტუმროდან პასუხად ხუთი თოფი გავარდა და ხუთი ჯარისკაცი წაიქცა. მაშინ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. იაგომ მეგობრებს მოუწოდა, ლაჩრულად სიკვდილს, გავიდეთ და ვაჟკაცურად შევებრძოლოთო. ცეცხლის კვამლზე ხუთი აბრაგი ფანჯრიდან გადმოეშვა, მათ ჯარი გააპეს, თითქმის სამშვიდობოს გავიდნენ, რომ თავდამსხმელები გონს მოეგნენ და ერთიანად შემოეხვივნენ აბრაგებს.

„რამდენიმე წუთს ხალხი გაიშალა და იქ მყოფების თვალს წარმოუდგა სხვა დახოცილებს შორის იაგო თავისი სამი ამხანაგით, რომელნიც გულაღმა ეყარნენ და შესაზარს სურათს წარმოადგენდნენ. არა სჩანდა მათ შორის მარტო კობა, რომელიც ამ არეულობაში რაღაც მანქანებით გასხლტომოდა, გადამჯდარიყო პირველ ცხენზედ და სუბუქად დაჭრილი, შეჰფარებოდა ფუთხუზის ტყეს“.(საბჭოთა მწერალი. 1955წ. გვ372)

ამის შემდეგ ნუნუს სიკვდილით დასჯის სცენას გვიხატავს ავტორი. მეორე დღეს კი გამარჯვებული დიამბეგი და გირგოლა ხევში ეტლით დაბრუნებისას, გირგოლა შეშფოთებულია, ერთი მხრივ კობას გადარჩენის ფაქტით, მეორე მხრივ, კი ნუნუს

სიკვდილით. დიანბეგი ოფიცრის წოდებას ულოცავს გირგოლას, რა დროსაც „ტყიდან გავარდა თოფი, გახვრიტა დიანბეგი, რომელიც გადმოვარდა ტროიკიდან და გვერდში დასჭრა გირგოლა, რომელმაც გაიგონა ხმა:

-მე ვარ კობა! ორნივ მე განაცვალეთ იაგოს! ამ სიტყვებით ის გაქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილიყო...“

ასე მთავრდება ყაზბეგის „მამის მკვლელი“, თუმცა მკითხველს დაუსრულებლობის განცდა რჩება. „ დაიხოცნენ რომანის გმირი პერსონაჟები, მაგრამ გადარჩა მთელი რომანის გენერატორივით მამოძრავებელი კობა. გამოდის, რომ ავტორის რომანი ან დაუსრულებლობის ხერხის **უნებლიე** გამოძახილია, ან „დაუსრულებლობის“ ხერხის გაცნობიერებული გამოხატულება.

კობას შესახებ ყაზბეგმა ახალი ინტრიგების შემცველი და იდუმალებით გარემოსილი მხოლოდ ერთი ცნობა გვაუწყა: გირგოლასა და დიანბეგზე შურისძიების შემდეგ „ის გაქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილიყო“. მაგრამ გვახსოვს მთელი ნაწარმოების განმავლობაში როგორ იკარგებოდა ხოლმე კობა, მაგრამ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე გამოაჩენს ხოლმე ავტორი, მაგალითად: ნუნუს მოტაცებისას, გირგოლასა და მის ჩაფრებს შეებრძოლება, შემდეგ უცებ იაგოს დაადგება თავს და გაათავისუფლებს ციხიდან ისე, რომ არც კი ელოდება, სასტუმროში შესვენებისას, ჯართან შებმამდე და ბოლოს გირგოლასა და დიამბეგის მოკვლის შემდეგ.

„კობამ თოფს წამოავლო ხელი და გასწია, ვინ იცის საითკენ...“ რაკი ეს არ იცის ავტორმა, არ ვიცით ჩვენც, მაგრამ ვიცით, რომ ვიდრე კობა ცოცხალია, შეუძლებელია, ის არ დაბრუნდეს. ჩვენ არაფერი გვითქვამს კობასთან სისხლით შეფიცულ ჩეჩენ ფარჩოზე, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა როგორც კობას, ისე მისი მეგობრების გადარჩენაში. სწორედ ფარჩომ გადაიყვანა ისინი ჩეჩნეთში და შეახვედრა შამილს. ძაუგში კობას ძმადნაფიცი, მის სხვა მეგობრებთან ერთად დაიღუპა. აი ამგვარი სულიერი გამოცდილების ტვირთით გადარჩა კობა და გაქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილა... მაგრამ რაკი ბუნებაში არაფერი იკარგება უკვალოდ, არ

შეიძლება უკვალოდ გაქრეს კობაც. ყაზბეგმა „მამის მკვლელი“ დაასრულა, როგორც რომანის დაუწერელი მეორე ნაწილის დასაწყისი. ბრძოლა სამშობლოს გადასარჩენად გრძელდება.

ყაზბეგის მასწავლებლები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ქართველი ხალხისთვის მისაბაძ მაგალითს ისინი ეძებდნენ ქართულ რეალობასა და წარსულში, ეროვნულ ფასეულობათა სიბრტყეში.

აი, ასეთ დროსა და პირობებში წაიკითხა პირველად თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე იოსებ ჯუღაშვილმა ყაზბეგის „მამის მკვლელი“. ამბობს გ. გაჩეჩილაძე, - უკვე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულმა იოსებ ჯუღაშვილმა. მან შეკრიბა თავისი მეგობრები, თანამებრძოლები და მოულოდნელი რამ აუწყა: - **ამიერიდან მისი სახელია არა იოსებ, არამედ კობა!** როგორც ვხედავთ, გ. გაჩეჩილაძის აზრით, ყაზბეგის ამ რომანის მთავარი გმირის **კობას** საკუთარი სახელი აურჩევია სტალინს თავის ფსევდონიმად. ამ ასოციაციურ თვალსაზრისში, მართლაც ძლიერი არგუმენტი დევს. სქემა საკმაოდ საინტერესოა, რომელიც დაახლოებით ასეთნაირად იკითხება: კობა არის ეროვნული გმირის სახე, რომელსაც ეძებს ილია ბაზალეთის ტბაში, ხოლო კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის სახით წარმოიდგენს აკაკი. იმ ამირანის სახით, რომელიც „მოვა დრო და იმ ჯაჭვს გაწყვეტს“. სტალინის მიერ ფსევდონიმად ამ გმირის სახელის არჩევა ნათელს ჰფენს მის მოტივაციას: გაათავისუფლოს თავისი ხალხი და ქვეყანა. ჩვენი აზრით, გაჩეჩილაძისეული ინტერპრეტაცია ყაზბეგის ეროვნული გმირისა, ერთ-ერთი საინტერესო ვერსიაა რომანის მხატვრული იდეის ამოცნობისათვის. თუმცა „მამისმკვლელი“, ისევე როგორც ყველა კლასიკური ნაწარმოები, სულ სხვანაირად შეიძლება წაიკითხოს სხვა დრომ და სხვა ეპოქამ.

დასკვნა

წინამდებარე სმაგისტრო ნაშრომში განხილულია ეროვნული გმირის მხატვრული სახე ალ. ყაზბეგის სამი ქრესტემოტათიული ხსიათის თხზულების საფუძველზე: **„ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“.** ალექსანდრე ყაზბეგი აგრძელებს მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში გამოკვეთილ ეროვნული გმირის ძიების ტენდენციას:

„ხევისბერი გოჩაში“ წარმოგვიდგინა საერო და სასულიერო წინამძღოლი, რომელსაც ხალხის უზომო ნდობა მოუპოვებია; ხალხი მას ენდობა მისი სიტყვა და საქმე ერთი მიზნისაკენაა მიმართული: ეს არის სამშობლო და უფალი. ყოველგვარი პიროვნული აქ უკუგდებულია. მწერლის აზრით, სწორედ ამგვარი ლიდერი აბრძოლებს ხალხს, წაიყვანს გამარჯვებისაკენ. უმწიკვლო ერთგულება სიმართლისა, ეს ის თვისებაა, რომელიც უდიდესი მსხვერპლისათვისა მზადყოფნას მოითხოვს. ამას თვით ხევისბერის მსგავსი რაინდებიც ძნელად იტანენ, მაგრამ საზოგადოებას სჭირდება შეურყეველი ნებისყოფა, შეულახავი ავტორიტეტი. ხევისბერმა ეს შეძლო სანამ იგი ხალხის სათავეში იდგა, ასეთნაირი დარჩა. თუმცა ავტორმა არც ის დატოვა ყურადღების მიღმა, რომ ამ ყველაფრის ატანა არ არის ჩვეულებრივი ამბავი. მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები კიდევ ერთხელ აგრძნობინებს პასუხისმგებლობისა და იმ ჯვარის სიმძიმეს, რომლის ტარებასაც შებედავს რიგითი მოკვდავთაგანი.

სვიმონ ჩოფიკაშვილის სახით, **„ელგუჯაში“** დაგვიხატა ლიდერი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ გმირის ერეკლე მეორის - მემკვიდრეა. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს იმდროინდელი ყოფა, არასახარბიელოა, მაგრამ

სხვა, ამაზე უკეთესი გამოსავალი არ არსებობს.რომ ზოგჯერ არსებობაც გმირობაა, ამიტომ უპერსპექტივო ომში ჩართვა საკუთარი ხალხისა, რომელიც ეროვნულ გმირს შეჰყურებს, დანაშაულის ტოლფასია. საქართველოს ისტორიას ახსოვს მძიმე დღეები, როცა მუშაობდა დევიზი: სიკვდილი ან გადარჩენა. მაგრამ ახლა სხვა დრო იყო. ეს კარგად ესმოდა სვიმონ ჩოფიკაშვილს და მისი აზრი, ვფიქრობთ, დღემდე გასათვალისწინებელია. საყურადღებოა,ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ყაზბეგს არ გაუიდეალებია ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ორგანიზებას ცდილობდა,არამედ მან წინა პლანზე წამოსწია სვიმონ ჩოფიკაშვილის სახე. ლიტერატურის ისტორიაში მკაფიოდაა გამოკვეთილი შეხედულება, რომ სვიმონ ჩოფიკაშვილის პროტოტიპი მწერლის პაპა გაბრიელი იყო. (თუმცა არსებობს სხვა აზრიც. რომელსაც როსტომ ჩხეიძე გამოთქვამს: თითქოს მწერლის პაპის მხატვრული სახე გაგი ჩოფიკაშვილია. რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით.)

რაც შეეხება **„მამის მკვლელს“**, ავტორმა ერთგვარად გააგრძელა „ელგუჯაში“ მოცემული ეროვნული გმირის მხატვრული სახის თემა და მოგვცა სრულიად ახალი მოდელი მამაცი პატრიოტისა, რომელსაც უნდა მოელოდეს ქართველი. მართალია, ის არ არის კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი, არც „ბაზალეთის ტბის“ ძირას ჩადგმულ აკვანში მწოლი ყრმა, მაგრამ ამ ტილოების შემქმნელი ავტორების მოდელის მოდერნიზებული სახეა, რომელიც დღეს იქნება თუ ხვალე, უნდა მოევლინოს საქართველოს. ყაზბეგის მიერ მინიშნებულია მისი არაზღაპრულობა, რითაც საიმედო ხდება მისი გამოჩენის დიდი ალბათობა.

(აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. გაჩეჩილაძის თვალსაზრისით, **„მამის მკვლელის“**, მხატვრული რეალობითაა ნაკარნახევი **სტალინის** მიერ თავის ფსევდონიმად **„კობას“** გამოცხადება.)

გამოყენებული ლიტერატურა:

1)ვაჟა-ფშაველა. 1986წ.

2)ე.ავსაჯანიშვილი. „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა“ მის თანამედროვეთა მოგონებები. 1988წ.

3)გ. ნატროშვილი. „ალექსანდრე ყაზბეგი“ 1949წ.

4)რ. ჩხეიძე „ყაზბეგიანა“ 2005წ.

5)ქართული ლიტერატურის ისტორია მე-19ს. ვ.კოტეტიშვილი. 1959წ.

6)ქართველი მწერლები სკოლაში. ალექსანდრე ყაზბეგი. ნაწილი 1.

7)ქართველი მწერლები სკოლაში. ალექსანდრე ყაზბეგი. ნაწილი 2.

8)რედაქტორი: ს.ჩიქოვანი. ქრთული მწერლობა. ალექსანდრე ყაზბეგი. მოთხრობები და რომანები. ტ1. საბჭოთა მწერალი 1955წ. (აკადემიური გამოცემა)

9) რედაქტორი: ს.ჩიქოვანი. ქრთული მწერლობა. ალექსანდრე ყაზბეგი. მოთხრობები და რომანები. ტ2. საბჭოთა მწერალი 1955წ. (აკადემიური გამოცემა)

10)კიტა აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ.

11)გაზეთი „ახალი ეპოქა“ დამატება „ჩვენი მწერლობა“ 12-18 სექტემბერი. 2003წ.

12)ლ.სულხანიშვილი. ლიტერატურული ძიებანი. 2002წ. ნაწილი 1.

13) გაზეთი კვირის პალიტრა 2018წ. 17 სექტემბერი.

14) ვ. ბარდაველიძე- ხევსურეთის თემის მმართველობის სისტემა // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი.

15)ი. ჭავჭავაძე, ერი და ისტორია. http://www.abioni.ge.

16) http://www.tabula.ge.

17) http://www.resonancedaily.com

18) https://khevsureTi.ge.